პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 5 მაისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 100 (2446)

დღიური

— სისხლისმღვრელი შეტაკებები პირველ მაისს ლიონში (საფრანგეთი).
— კანადის პრემიერი კანადა—საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ.
— ფეიქართა გაფიცვა ბომბეაში გრძელდება.— გაფიცულია 150.000 კაცი.
— ანტიგერმანული დემონსტრაციები პოლონეთში.
— ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოცხადება არალეგალურად.
— რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების დაპატიმრებულ წევრების შიმშილობა.
— გემ „საქართველო"-ს შეხვედრა ფოთში.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა V ყრილობა
გაიხსნება
6 მაისს, საღამოს 6 საათზე სახ. ოპერის თეატრში

ამიერ/კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობის კომფრაქციის სხდომა შესდგება სახ. ოპერის შენობაში 6 მაისს, საღამოს 5 საათზე.

ა/კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

ყრილობის დელეგატებს სთხოვენ მანდატების მისაღებათ მიმართონ ა/კ. ცაკში (სასახლე, ოთახი № 5)) დილის 9½ საათიდან ნაშუადღევის 3½ საათამდე და საღ. 6 საათიდან 9 საათამდე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სადარბაზო ოთახებში.

მიღწევები და მორიგი ამოცანები

ხუთი მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეა. სრულიად სამართლიანად აქვს მას ცალკე დღე მიძღვნილი. იგი მშრომელთა ერთ-ერთი მასიური ორგანიზატორია იმ ამოცანების გარშემო, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება ისახავენ, ბასრი იარაღია იმ ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, რომელნიც ჯერ კიდევ ბლომად ახლავს ჩვენს მშენებლობას. ამიტომ, უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვაზე მასების ყურადღების საგანგებოდ შეჩერებას.

უდავოა, რომ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვას ჩვენში, ისე როგორც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში, თვალსაჩინო მიღწევები აქვს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა გამოცემათა ტირაჟი შეუდარებლად გაიზარდა. საბჭოთა წყობილებამ უფართოესი გასაქანი მისცა მასების კულტურულ გათვითცნობიერებას და მის პოლიტიკურ შეგნების ამაღლებას. ისინი მძლავრად დაეწაფენ გაზეთ-ჟურნალებს და წიგნებს. თვით ბეჭდვითი სიტყვამ თავის მხრივ დიდად შეუწყო ხელი მუშათა და გლეხთა კულტურულ-პოლიტიკურ ზრდას და მათკენ გზა გაიკვლია; ის შეიქმნა მნიშვნელოვან ფაქტორად მშრომელთა საზოგადოებრივ აქტივობის გაშლაში. ამ მხრივ აქ პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ მუშ-გლეხკორთა მოძრაობას, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო. გაზეთების გარშემო შემოკრებილი მუშგლეხკორთა არმია ცხოველ მონაწილეობას ღებულობს სოციალისტურ მშენებლობაში და მის გაჯანსაღებაში. ამ აქტივობის მაჩვენებელია აგრეთვე კედლის გაზეთების, ბეჭდვითი სიტყვის ამ ახალ ფორმის, გამრავლება საწარმოებში და სოფლებშიაც კი.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის პროდუქცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხარისხობრივადაც. მასში სულ მეტ გამოხატულებას ჰპოულობენ სადღეისო საჭირ-ბოროტო საკითხები; იგი თავისი შინაარსით და ფორმით უფრო მისაწვდომი ხდება მასიური და ჩამორჩენილი მკითხველისათვის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებული მიღწევებით ოდნავადაც არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ჩვენს ბეჭდვითი სიტყვას ჯერ კიდევ მრავალი არსებითი დეფექტი აქვს. ის კიდევ ვერ ართმევს თავს იმ უდიდეს ამოცანებს, რომელნიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგანან. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, კულტურული რევოლიუცია— ასეთია ძირითადი ხაზები, რომლებითაც ვითარდება და უნდა წავიდეს ჩვენი ცხოვრება. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში ბეჭდვითი სიტყვამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, მიუხედავად ზოგიერთ მიღწევებისა, ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა საგრძნობლად მოიკოჭლებს. ვერ არის ჯეროვანად დაყენებული გამოსაცემ ლიტერატურის შერჩევის საქმე. აქ ჩვენ არ მოგვეპოვება მთლიანი და მტკიცე გეგმა, შეფარდებული ჩვენს ეხლანდელ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან. ბლომად იცემა შემთხვევითი ხასიათის წიგნები. ამავე დროს შედარებით ნაკლებად მოგვეპოვება ისეთი საერთო და სპეციალური შინაარსის წიგნები, რომელნიც ზედმიწევნით შეეფერებოდნენ ეხლანდელ პერიოდის საჭიროებებს და მასების მოთხოვნილებებს. უნდა მოხდეს არსებითი გარდატეხა, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა უფრო მჭიდროდ დაუახლოვდეს პარტიის და ხელისუფლების მიერ ამჟამად დასახულ ამოცანებს.

თავის თავად ცხადია, უნაკლო არ არიან ყოველდღიური გამოცემანი, გაზეთები. აქ, უეჭველია, კიდევ არ ხდება თანამედროვე აქტუალურ საკითხების სისტემატიურად გაშუქება; ამ საქმეში მასებიც არ არიან საჭირო მასშტაბით ჩაბმული. მოისუსტებს მუშაობა მუშ-გლეხკორთა შორის. ჯერ ვერ მოხერხდა მათთან მჭიდრო კავშირის გაბმა და მათზე საჭირო ხელმძღვანელობის განხორციელება. თვითკრიტიკის ტალღის გაშლა კიდევ არ მიმდინარეობს საჭირო მასშტაბით. ვერ შევსძელით მასების ყურადღების ჯეროვანად მობილიზაცია ჩვენი მშენებლობის მთავარ ნაკლოვანებებსა და ტკივილებზე.

ცუდადაა დაყენებული ბეჭდვითი სიტყვის გავრცელება. ბევრი წიგნი გამომცემლობათა საწყობებში აწყვია, და ეს არა იმიტომ, რომ ამ წიგნებზე მოთხოვნილება არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვღებულობთ საჭირო ზომებს მასებისათვის მათი მიწოდებისათვის. მოიკოჭლებს გაზეთების გავრცელების საქმეც.

ყოველივე აქედან ცხადია ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოჭრილი არიან ბეჭდვითი სიტყვის დარგში. ბეჭდვითი სიტყვა სავსებით და მთლიანად უნდა გადაიქცეს სოციალისტური მშენებლობის უფრო მძლავრ იარაღად და მან ახალი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მშენებლობის გარშემო მასების შემდგომი ორგანიზაციისათვის. უნდა გავაუმჯობესოთ მისი პროდუქცია. მშრომელთა ახალ-ახალი ფენები უნდა ჩავაბათ ჩვენი აპარატის და მშენებლობის ნაკლოვანებებთან ბრძოლაში გაშლილი თვითკრიტიკის საფუძველზე. უნდა გავაფართოვოთ მუშ-გლეხკორთა ქსელი, დავრაზმოთ ისინი და გავაძლიეროთ მათზე ხელმძღვანელობა. ბეჭდვითი სიტყვა მშრომელთა შორის, თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, ფართედ უნდა გავავრცელოთ.

ამ ამოცანების გადაჭრა მიღწეულ შედეგების ნიადაგზე შესაძლებელია. მხოლოდ საჭიროა მთელი პარტიის ენერგიული დახმარება და თვით მუშათა და გლეხთა მასების ცოცხალი გამოხმაურება. ბეჭდვითი სიტყვის დღემ ამ მხრივ უნდა მოგვცეს ახალი სტიმული მუშაობის გასაძლიერებლად.

ბეჭდვითი სიტყვის დღე

ამ დღეს (5 მაისს) პარტია და საბჭოთა საზოგადოებრიობა ამოწმებს თავის მიღწევებს საგაზეთო, საჟურნალო და წიგნების გამომცემლობის საქმეში.

თუ ჯამს გაუკეთებთ მიღწევებს ბეჭდვითი სიტყვის დარგში, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დიდი მუშაობა არის შესრულებული მასების განვითარების მხრივ.

ბეჭდვითი სიტყვა, როგორც მასების კოლექტიური ორგანიზატორი, რომელიც რაზმავს ახალი ათეული და ასეული ათასი მუშების აქტიობას სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად, ხდება პროგრესის უდიდეს ფაქტორად საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობაში.

„საჭიროა,—როგორც ამბობს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-13 ყრილობის რეზოლიუცია,— გაძლიერდეს კავშირი მასებთან, დაუახლოვოთ ბეჭდვითი სიტყვა მასებს და ძალ-ღონე მოვახმაროთ მუშებისა და გლეხების ცხოვრებისა და ყოფის ძირითადი საკითხების გადაწყვეტას. ამით უნდა განისაზღვროს პარტიული, მუშათა, საგლეხო გაზეთების და წიგნების შინაარსი და ამოცანები".

ეს ძირითადი ლოზუნგი მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგანან პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე. სახელდობრ: გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ პარტიის გენერალური ხაზისათვის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ამოცანას შეადგენს—მასების ყურადღება მიაქციოს სოციალიზმის მშენებლობის მთავარ მორიგ ამოცანებს და ჩააბას მასები ამ ამოცანების უშუალოდ გადაწყვეტის საქმეში.

საბჭოთა პრესის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მუშგლეხკორთა მოძრაობის განუწყვეტელი ზრდა. ჩვენმა ბეჭდვითი სიტყვამ თავისი რიგებიდან დააწინაურა კალმის ბევრი გმირი. იგი ლაპარაკობს ოქტომბრის რევოლიუციის ენით და ამიტომ იზიდავს მშრომელთა ფართო მასების და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ყურადღებას.

მასებთან კავშირის განმტკიცება, მუშათა ახალი კადრების დარაზმვა ჩვენი გაზეთის, მთელი ჩვენი პრესის ირგვლივ,—ასეთია ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ყოველდღიური ამოცანა.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა—ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთგული და მუდმივი საყვირია; ასეთად უნდა დარჩეს იგი მომავალში.

კომპარტიის ორგანიზაციასთან ერთად მან უნდა დაამუშაოს სამეურნეო-ეკონომიური და სხვა ხასიათის ახალი პრობლემები მსოფლიო კომუნიზმის რევოლიუციონურ- მარქსისტულ- ლენინური იდეოლოგიის დარგში. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა უფრო და უფრო ახლოს უნდა მიუდგეს ჩვენი სახელმწიფო კოოპერატიული სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიური პრაქტიკის საკითხებს.

გაუმარჯოს ჩვენს ბეჭდვითი სიტყვას— მუდამ საბჭოთა, მუდამ რევოლიუციონურ- მარქსისტულ- კომუნისტურ და ლენინურ ბეჭდვითი სიტყვას, რომელიც სასტიკად აკრიტიკებს ყველა გადახრას, ყველა მერყეობას და მასთან შემარიგებლობას!

მიხა ცხაკაია.

პირველი მაისი კაპიტალისტურ ქვეყნებში

ორ მაისს ბერლინში გრძელდებოდა ბრძოლა ბარიკადებზე

პოლიცია მოქმედობდა ჯავშნიანი ავტომობილებით, ბომბებით და ტყიამფრქვევებით

საალყო წესები მუშათა უბნებში.--პოლიცია ჰკლავს ყველას, ვინც გადმოიხედავს ფანჯრიდან

ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავს მენშევიკების და პოლიციის მხეცობას

ბერლინის ქუჩებში ბრძოლა გრძელდება

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, იმ შეტაკებებში, რომლებიც გუშინ ღამით მოხდა, მოკლული აღმოჩნდა ერთი კაცი, ხოლო დაჭრილი—12. მოდის დაწვრილებითი ცნობები იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც გაიმართა მუშებს და პოლიციას შორის ნეიკელნეში (ბერლინის გარე უბანი). 2 მაისს საღამოთი მთავარ ქუჩაზე, გერმანშტრასეზე, აგრეთვე მეზობელ ქუჩებში დაიწყეს ბარიკადების შენება მოჭრილი ხეებისა, მორებისა, ფიცრებისა, წაქცეულ ავტობუსებისაგან და სხვ. პოლიციის ცდა — აელო ბარიკადები მრავალი საათის განმავლობაში უშედეგო აღმოჩნდა. სამხედრო მოქმედების ასპარეზი სრული წყვდიადით იყო მოცული. მოვიდა ჯავშნოსანი ავტომობილი, რომელსაც უკან მოჰყვებოდა 300 პოლიციელი საბარგო ავტომობილებზე. ჯავშნიანმა ავტომობილმა ბარიკადებს და ხალხს ტყვია-მფრქვეველი დაუშინა. შემდეგ ავტომობილიც და პოლიციაც წავიდა და გერმანშტრასეს გაწმენდა დილამდის გადასდო. (ადს)

პოლიცია დაუნდობლად მოქმედებს

ბერლინი, 3 მაისი. როგორც ბურჟუაზიული გაზეთი „ცველფურ ბლატ"-ი იუწყება, პოლიციის დამხმარე რაზმები, რომელნიც შეიარაღებულნი არიან თოფებითა და ნაწილობრივ ხელით სასროლი გრანატებით, დაუნდობლად მოქმედებენ: ესვრიან ყველას, ვინც ფანჯრიდან გადმოიხედავს. (ადს)

მუშათა მასების მობილიზაცია

ბერლინი, 3 მაისი. ქარხნების წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც ჩაშალა საპირველმაისო კომიტეტმა, დაადგინა—გამართოს ბერლინის ყველა ქარხანაში მუშათა საერთო კრებები. ზოგიერთ საწარმოში 2 მაისსვე აღარ მუშაობდნენ. მუშათა მასების მობილიზაცია ხდება ლოზუნგით: ძირს საალყო წესები, პოლიციის რაზმების გაყვანა მუშათა უბნებიდან, პატიმართა განთავისუფლება, პირველ მაისს მოკლულთა თავისუფალი დაკრძალვა, ძირს ცერგიბელი. (ადს)

რეფორმისტები კომპარტიას სდებს ბრალს

ბერლინი. 3 მაისი. პროფკავშირების სოციალ-დემოკრატ და რეფორმისტ ბელადებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც ცდილობენ 1 მაისს მომხდარი სისხლის ღვრის პასუხისმგებლობა დააკისრონ კომპარტიას. მოწოდება ურჩევს მუშებს—არ გაჰყვენ კომუნისტების ლოზუნგს მასიური პოლიტიკური გაფიცვის შესახებ. (ადს).

„პოლიციის მუშაობა არ დამთავრებულა"

ბერლინი, 3 მაისი. ცერგიბელმა განაცხადა, რომ 3 მაისს დილით ჯერ არ იყო დამთავრებული „პოლიციის მიერ წარმოებული გამწმენდი მუშაობა".

პოლიცეი - პრეზიდენტის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: „იმ რაიონებში, სადაც არეულობა მოხდა, სწარმოებს სისტემატიური ჩხრეკა. ამ ჩხრეკის დროს ვედინგში პოლიციამ აღმოაჩინა დიდძალი იარაღი. დაპატიმრებულია 28 კაცი. ნეიკელნში დაპატიმრებულია 34 კაცი. ჩხრეკა და დაპატიმრება გრძელდება". (ადს).

სტიქიური გაფიცვები

ბერლინი, 3 მაისი. ბერლინის ზოგიერთ საწარმოში დაიწყო სტიქიური გაფიცვა. გაიფიცა პაპიროსის ფაბრიკების 3.000 მუშა. გაიფიცნენ აგრეთვე იმ რკინის გზის მუშები, რომელიც მიწის ქვეშ გაჰყავთ, და ლეიზერის ფირმის ფეხსაცმელის ფაბრიკის მუშები.

წყალსადენის მუშაკთა მთელი რიგი ორგანიზაციების სადელეგატო კრებებმა დაადგინეს—შეწყვიტონ მუშაობა ყველა საწარმოში. ბერლინის სატრანსპორტო საზოგადოების (რომელსაც ეკუთვნის ავტობუსების უმრავლესობა) მუშებს შორის დიდი მღელვარებაა იმის გამო, რომ გადააყენეს საფაბრიკო-საქარხნო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც პროფკავშირების რევოლიუციონურ ფრთას ემხრობა. პროვინციიდან მოდის ცნობები, რომ საწარმოებში და მაღაროებში ეწყობა გაფიცვები სოლიდარობის ნიშნად. გალის საწარმოთა წარმომადგენლების კონფერენციაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც შაბათს უნდა მოეწყოს 24 საათის გაფიცვა. რურის ოლქში ბევრ მაღაროში ადგილი აქვს ნაწილობრივ გაფიცვებს. (ადს).

მასიური საპროტესტო მიტინგები

ბერლინი, 3 მაისი. ბევრ ქალაქში, მათ შორის ჰამბურგსა და ლეიპციგში, გაიმართა სტიქიური მასიური საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ბერლინში მომხდარი სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ზოგიერთ ადგილას მოხდა შეტაკებაც.

ხემნიცში მიტინგზე გამოვიდა მაქს ჰელცი, რის შემდეგაც გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით და დაპატიმრებით. ლეიპციგში მოხდა შეტაკება ფაშისტებთან. (ადს).

რეპრესიები „როტე ფანე"-ს წინააღმდეგ

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„პოლიცეი- პრეზიდენტმა, რესპუბლიკის დაცვის კანონის თანახმად, 23 მაისამდე დახურა გაზეთი „როტე ფანე". (ადს).

მდგომარეობა ნეიკელნში

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტო ნეიკელნში შექმნილი მდგომარეობის შესახებ იუწყება:

„მიწის ქვეშა რკ. გზის გაყვანაზე მომუშავეებმა კოლექტიურად შესწყვიტეს მუშაობა და განაცხადეს, რომ მათ არ სურთ იმუშაონ პოლიციის ზედამხედველობით. ნეიკელნში ბევრი ბავშვი არ გამოცხადდა სკოლაში. იმ ზომებმა, რომლებიც მიღებულ იქნა ქალაქისათვის ალყის შემოსარტყმელად, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. ბევრ განაპირა ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად დადიან მუშები, რომელნიც არ მიდიან სამუშაოდ, რადგან გაფიცულია მრავალი საწარმო. (ადს).

„პოლიციის საალყო ზომები"

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა პოლიცია - პრეზიდენტის განკარგულება სათაურით „საალყო წესები ვედინგში და ნეიკელნში" და შემდეგ სათაური გადაასწორა ასე: „პოლიციის საალყო ზომები ვედინგისა და ნეიკელნისათვის". განკარგულებაში ჩამოთვლილია მთელი რიგი ზომები, რომლებითაც აკრძალულია მოძრაობა, კრებები ქუჩებში, სინათლე სახლებში და სხვა. (ადს).

ქუჩების „გაწმენდა"

ბერლინი, 3 მაისი. 3 მაისს დილით ნეიკელნში, გერმანშტრასეს რაიონში, პოლიცია ქუჩების „გაწმენდის" დროს თავს დაესხა ჯგუფებს, რომელნიც, მიუხედავად აკრძალვისა, გროვდებოდნენ ქუჩებში. პოლიციამ ფართოდ გამოიყენა სასროლი იარაღი. მოკლულია 2 ქალი, რომელნიც აივანზე გამოვიდნენ ბევრია მძიმედ დაჭრილი.

მოძრაობა შესწყდა. პოლიცია შეიარაღებულია ტყვია-მფრქვეველებით და ჯავშნიანი ავტომობილებით. ნეიკელნსა და ვედინგში მომხდარი ჩხრეკა თითქმის უნაყოფოდ დამთავრდა. ამით გაბათილდა ის ხმა, ვითომ „მუშები შეიარაღებულნი იყვნენ და თოფის სროლით აიძულეს პოლიცია მიემართა იარაღისათვის". (ადს).

ცერგიბელი ხელისუფლების „პრესტიჟის" სადარაჯოზე

ბერლინი, 3 მაისი. ცერგიბელმა „ბერლინერ ტაგებლატ"-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ცდილობს განმარტოს, თუ რატომ არ გააუქმა დემონსტრაციის აკრძალვა. სოციალ-დემოკრატ პოლიცეი-პრეზიდენტს სამი მოსაზრება მოჰყავს: მთავრობის კრიზისი, კომუნისტური პროპაგანდა ლოზუნგით „დემონსტრაციების თავისუფლება", რომლის წინაშეც არ უნდოდა უკან დაეხია ხელისუფლების პრესტიჟის ინტერესების გამო, შარშანდელი პირველი მაისის ამბები, როდესაც კომუნისტებმა თითქოს გადასწყვიტეს თავიანთი დემონსტრაციები დაეპირისპირებინათ სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების დემონსტრაციებისათვის.

უკანასკნელი საბუთი ადასტურებს იმ კომუნისტების მტკიცების სისწორეს, რომლებიც აცხადებენ, რომ დემონსტრაციის აკრძალვას ცდილობდნენ რეფორმისტები, რადგან წელს უფრო ნათლად უნდა გამომჟღავნებულიყო, ვიდრე შარშან, კომპარტიის გავლენის ძლიერება ბერლინის მუშათა მასებში. საერთოდ, ცერგიბელის საბუთები კრიტიკას ვერ უძლებენ, ვინაიდან გაუგებარი რჩება, თუ რატომ შეიძლებოდა ნებართვის მიცემა ჰამბურგში და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში 1-ლი მაისის დემონსტრაციების გასამართავად.

„ფორვერტ"-ი და ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ დაჰფარონ თავიანთი აბნეულობა გაძლიერებული გალაშქრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამავე დროს ბურჟუაზიული გაზეთებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ პოლიცია არაჩვეულებრივი სიმკაცრით მოექცა დემონსტრანტებს. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი და „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ი მკაცრად აკრიტიკებენ პოლიციის ძალადობას, რომელიც მან იხმარა არა მარტო დემონსტრანტებისა, არამედ გზად გამვლელების მიმართაც. „ბერლინერ ტაგებლატ"-მა დაბეჭდა ნაამბობი თავისი რეპორტიორისა, რომელიც პოლიციამ შეიპყრო, შეჰკრა და სცემა. ასეთივე ბედი ხვდათ სხვა ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს, რომლებიც სცდილობდნენ გადაეღოთ პოლიციის ძალადობის სურათი. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-ის მისალმება

პრაღა, 3 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ც. კ.-მა გერმანიის კომპარტიას მისალმება გაუგზავნა ბერლინის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის გამო. ამავე დროს ც. კ.-მა მოუწოდა ჩეხო-სლოვაკიის მშრომელ მასებს—პროტესტი განუცხადონ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ბურჟუაზიას შეუერთდნენ მუშების დასახოცად.

საფრანგეთი

საპირველმაისო გაფიცვები

პარიზი, 3 მაისი. პროვინციაში 1 მაისი ყველგან იდღესასწაულეს. მარსელში გაიმართა დიდი მანიფესტაცია, რომელმაც ქალაქის მთავარი ქუჩები გაიარა გაშლილი დროშებითა და პლაკატებით. 1 მაისის ღამეს ტაძრის თავზე აღმართეს ორი წითელი დროშა, რომლებიც პოლიციამ მხოლოდ საღამოთი მოხსნა. ლილში გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 4.000 კაცმა. პოლიცია ეცადა დემონსტრაციის გაფანტვას. დაშავდა რამდენიმე მუშა. დააპატიმრეს 7 კაცი. ლანსში მუშათა მანიფესტაცია ქალაქის ცენტრში შეიჭრა. პოლიციასთან ერთი საათის ბრძოლის შემდეგ დაიჭრა რამდენიმე მუშა და ჟანდარმი. ამავე ქალაქში რამდენიმე კაცი დააპატიმრეს, სხვათა შორის, ადგილობრივი უნიტარული ფედერაციის მდივანი.

სხვა ქალაქებში გაიმართა დიდი მანიფესტაციები და მიტინგები. მიღებული ცნობების თანახმად, მუშები თითქმის მთლიანად გაიფიცნენ ტულონში, მარსელში, დიუნკირხენში, პა-დე-კალეს ნახშირის რაიონში და სხვა ადგილებში (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკებანი

პარიზი, 3 მაისი. საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა ლიონში, სადაც დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8.000 კაცმა, დიუეში—6.000 კაცმა, რეიმსში, ბორდოში, ჰავრში, და სხვა ქალაქებში. დამატებითი ცნობით, ლიონში მომხდარი შეტაკების დროს დასჭრეს 50 მუშა. პოლიციის მოქმედებას ხელმძღვანელობდა ქალაქის თავი სოციალისტი სალანგრო. (ადს)

„სოციალისტების" შეკითხვა

პარიზი, 3 მაისი. 15 მუშას, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ 1 მაისს, ბრალდებად წარუდგინეს „შრომის თავისუფლების დარღვევა" და პოლიციის აგენტების შეურაცხყოფა. დეპუტატებმა დეპუტატთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა პოლიციის მიერ 1 მაისს მიღებული „გამაფრთხილებელი" ზომების გამო.

„პოპიულერ"-ი და მემარცხენე ბურჟუაზიული „ვოლონტე" გმობენ ამ ზომებს.

„ლიუმანიტე"-მ, თავის პასუხში გაიხსენა ის, რომ სოციალისტებმა პარიზის მუნიციპალიტეტში ხმა მისცეს პოლიციის პრეფექტისათვის ნდობის გამოცხადებას, ხოლო დეპუტატთა პალატაში ხმა მისცეს პოლიციის მიზნებისათვის დასახარჯ საიდუმლო ფონდებს, აგრეთვე ახალ სამხედრო კანონს, რომელიც მთავრობას საშუალებას აძლევს შექმნას პოლიციის უდიდესი ძალები. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატები ბერლინის ქუჩებში ხვრეტავენ მუშებს.

პოლონეთი

დაწვრილებითი ცნობები საპირველმაისო ამბების შესახებ ვილნოში

ვარშავა, 3 მაისი. მოვიდა დაწვრილებითი ცნობები საპირველმაისო ამბების შესახებ ვილნოში. პოლონეთის სოც. პარტიამ და ბუნდმა ვილნოში ერთად გამართეს დემონსტრაცია. პოლონეთის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთამ და ბელორუსიის მუშურ-გლეხურ დეპუტატთა კლუბმა ცალ-ცალკე გამართეს დემონსტრაცია. მსვლელობის დროს მეორე დემონსტრაციის რიგებში აფრიალდა დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის დროშები. პოლიციელს, რომელიც სცდილობდა დროშის წართმევას, სცემეს დემონსტრანტებმა. ამავე დროს გაისმა სროლა. ერთი დემონსტრანტი მძიმედ დაჭრილი დაეცა. პოლიციელებსა და დემონსტრანტებს შორის მოხდა დიდი შეტაკება. დემონსტრანტები პოლიციელებს ჯოხებით იგერიებდნენ. პოლიციის თავდასხმის შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ წინ. დემონსტრაციაზე გამოვიდა ბელორუსიის მუშურ-გლეხური ფრაქციის დეპუტატი დვორჩანინი.

მოხდა ახალი სისხლისმღვრელი შეტაკება. შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა ქვეითი და ცხენოსანი პოლიცია. დაჭრილია 30 დემონსტრანტი. და 4 პოლიციელი. ძალიან სცემეს დეპუტატ დვორჩანინს. (ადს).

რუმინეთი

ვენა, 4 მაისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, პირველი მაისის წინა დღეს რუმინეთის ზოგიერთ ქალაქში გამოაკრეს მოწოდებები, რომლებიც წინადადებას აძლევდნენ მუშებს — მოეწყოთ დემონსტრაციები ქუჩებში. მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა. ამასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს მუშები ბუქარესტში, კიშინიოვში და იასში.

ბუქარესტში პოლიციამ კონფისკაცია უყო უნიტარულ პროფკავშირთა, რევოლიუციონური ახალგაზრდობისა და მუშათა სოციალისტური პარტიის გაზეთების საპირველმაისო ნომრებს. კლაუზენბურგში სამხედრო ხელისუფლებამ აუკრძალა ჯარისკაცებს მონაწილეობის მიღება საპირველმაისო დღესასწაულში. მიუხედავად ამისა, ბევრმა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა დღესასწაულში. ჟანდარმებმა სცადეს მათი დაპატიმრება. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთმა ჯარისკაცმა მოკლა ჟანდარმთა რაზმის უფროსი.

აკრძალვის მიუხედავად

ვენა, 3 მაისი. რუმინეთში 1 მაისს საწარმონი არ მუშაობდნენ. ქალაქებში აკრძალული იყო ყოველგვარი მანიფესტაციები. წესრიგს იცავდნენ პოლიცია და ჯარი, რომლებსაც სოციალ-დემოკრატები ეხმარებოდნენ. (ადს).

დემონსტრანტებისა და შტრეიკბრეხერების შეტაკება

ვენა, 3 მაისი. გაზეთების ცნობით, 1 მაისს ბუდაპეშტში საწარმოთა უმრავლესობა არ მუშაობდა.

ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გაფიცულებმა ქუჩები გაიარეს და მოუწოდეს სხვა მუშებსაც—მუშაობისათვის თავი დაენებებინათ. ზოგიერთ ადგილას შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. პოლიციამ რამდენიმე კაცი დააპატიმრა. (ადს).

ლატვია

სპორტსმენები ეხმარებიან პოლიციას

რიგა, 3 მაისი. მიუხედავად აკრძალვისა, მემარცხენე მუშები რიგაში, დვინსკში, ლიბავაში და ლატვიის სხვა ქალაქებში შეეცადნენ საპირველმაისო დემონსტრაციების გამართვას. მუშათა დემონსტრაციების გარეკვაში პოლიციას ხელს უწყობდნენ სოციალ-დემოკრატი სპორტსმენები სეიმის დეპუტატ სოციალ-დემოკრატ ბრუნო კალნინის მეთაურობით. რიგაში სპორტსმენები პოლიციას ეჯიბრებოდნენ დაპატიმრებული მუშების ცემაში რეზინის ჯოხებით.

სოციალ-დემოკრატიულ მიტინგზე რიგაში (მიტინგი ნებადართული იყო ლატვიის ხელისუფლების მიერ) სპორტსმენებმა სცემეს 28 მუშას, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ოფიციალური სოციალ-დემოკრატი ორატორების გამოსვლით და რომელნიც შეეცადნენ სიტყვის წარმოთქმას. რიგაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით დააპატიმრეს 80 მუშა. მრავალი მუშა დააპატიმრეს სხვა ქალაქებშიაც. (ადს)

შვეიცარია

კომუნისტ ორატორებს აღფრთოვანებით ეგებებოდნენ

ბერლინი, 3 მაისი. შვეიცარიაში პირველი მაისის დემონსტრაციები ყველგან მრავალრიცხოვანი იყო. ბევრ ადგილას რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა და კომუნისტებმა დიდი მანიფესტაცია გამართეს. კომუნისტი ორატორების სიტყვებს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. ცენტრალურ ლოზუნგს წარმოადგენდა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

პირველი მაისი მონღოლეთში

საპირველმაისო ზეიმი ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 3 მაისი. საპირველმაისო ზეიმმა მონღოლეთის დედა-ქალაქ ულან-ბატორში მეტად დარაზმულად და დიდის ენტუზიაზმით ჩაიარა. სამხედრო აღლუმის შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური, სამეურნეო და საზოგადო ორგანიზაციები, სულ 12.000 დემონსტრანტი. ორატორები თავიანთ სიტყვებში ხაზს უსვამდნენ მონღოლეთის და საბჭოთა ქვეყნის მჭიდრო კავშირს მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობასთან. მიტინგის შემდეგ სამხედრო ნაწილებმა და დემონსტრანტების კოლონებმა გაიარეს მონღოლეთის მთავრობის და მონღოლეთის პოლიტიკური ორგანიზაციების წინ. (ადს).

იმპერიალისტები ცდილობენ ბოლო მოუღონ

ყოველგვარ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ

კეშენდენი წინააღმდეგია

ჟენევა, 3 მაისი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე ლიტვინოვმა შეიტანა შეკითხვა ეხლანდელი სესიის ხანგრძლივობისა და სესიის შემდგომი პროგრამის შესახებ. თავმჯდომარემ პოლიტისმა უპასუხა, რომ სამხედრო მასალების საკითხის განხილვის შემდეგ განზრახულია ყველა დანარჩენი საკითხი გადადებულ იქნას შემდგომ სესიამდე, რომელიც უნდა შესდგეს „ყოველ შემთხვევაში, ერთა ლიგის სექტემბრის სესიის წინ".

პოლიტისის განცხადების შემდეგ ლორდმა კეშენდენმა გადაჭრით გაილაშქრა შემდგომი სესიის „მოწვევის ვადის წინასწარ განსაზღვრის" წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა არ დასთანხმდება კომისიის სესიის მოწვევას ერთა ლიგის სექტემბრის სესიამდე.

გიბსონის ახალი „საჩუქარი"

მოსამზადებელ კომისიაში დამთავრდა არმიის, საზღვაო ფლოტის და საჰაერო ფლოტის პირადი შემადგენლობის საკითხის განხილვა. ამ განხილვის ერთად ერთი პრაქტიკული შედეგია ის დადგენილებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გააძლიერონ არმიის შევსება მოსამსახურეებით.

შემდეგ კომისიამ განიხილა საკითხი ქვეითი არმიების სამხედრო მასალის შესახებ. გიბსონმა კომისიის ხელმძღვანელებს უძღვნა ახალი საჩუქარი: მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა თანახმაა გამორიცხოს კონვენციის მოქმედებიდან სათადარიგო მასალა, ესე იგი სამობილიზაციო მარაგიც.

საბჭოთა წინადადების განხილვა

ამის შემდეგ, კომისიამ განიხილა საბჭოთა წინადადება ქვეითი ჯარის ყველა სახის სამხედრო მასალის გარკვეული რიცხვობრივი და თვისებრივი სპეციფიკაციის შესახებ. წინადადების დასასაბუთებლად გამოვიდა ლიტვინოვი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს წარუდგინოს გენერალურ კონფერენციას წინადადება შეტევითი ომის საშუალებათა მთლად მოსპობის შესახებ. ვინაიდან მოსამზადებელი კომისია ფიქრობს, რომ მას უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შეიარაღების სრულიად მოსპობის შესახებ ან დააწესოს შეიარაღების შემცირების ძირითადი პრინციპები, ამიტომ საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ეხლა მხოლოდ სათანადო სამხედრო მასალის გარკვეული სია.

ლიტვინოვის შემდეგ გამოვიდა ბერნსტორფი, რომელმაც განაცხადა, რომ უერთდება საბჭოთა წინადადებას. საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს იაპონიის, სამხრეთ - სლავიის, იტალიის და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების წარმომადგენლებმა.

კვლავ გამოვიდა ბერნსტორფი, რომელმაც სავსებით გააბათილა საბჭ. წინადადების წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები. ბერნსტორფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო მასალის შემცირების პირდაპირი მეთოდის განხორციელება შესაძლებელია, რაც დაამტკიცა გერმანიის განიარაღების მაგალითმა. ამ თვალსაზრისს მოულოდნელად მხარი დაუჭირა გიბსონმა, რაც არ ესიამოვნა კომისიის უმრავლესობას. გიბსონმა განაცხადა: შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს სამხედრო მასალის შემცირების პირდაპირ მეთოდს და საჭიროდ სთვლის მის სწორი სპეციფიკაციის დაწესებას. ასეთივე განცხადებით გამოვიდა ჰოლანდიის დელეგაციის წარმომადგენელი.

ლიტვინოვის სიტყვა

ამის შემდეგ გამოვიდა ლიტვინოვი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცალკე სახელმწიფოების განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ უკვე გაატარეს სამხედრო ძალთა პირადი შემადგენლობის შემცირება, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სანამ ეს სახელმწიფოები არ გამოაქვეყნებენ ცნობებს სამხედრო მასალის ნამდვილი რაოდენობის შესახებ. ისინი ამცირებენ პირად შემადგენლობას, მაგრამ ამავე დროს ადიდებენ სამხედრო მასალას, რაც სრულიადაც არ ამცირებს მათ ბრძოლის უნარს და არ ასუსტებს მათ საომარ მომზადებას. გზა, რომლითაც მიდის კომისია, არავითარ შედეგს არ მისცემს მას. კომისია არ ცდილობს დასძლიოს მის წინაშე წამოჭრილი სიძნელეები, ის პირდაპირ სპობს იმ მუხლებს, რომლებიც უთანხმოებას იწვევენ, ესე იგი პრაქტიკულად ცდილობს საერთოდ შესწყვიტოს ყოველგვარი ლაპარაკი განიარაღების შესახებ. კონვენციის პროექტი უქმდება და მის ადგილზე აღარაფერი რჩება. ერთსულოვნება, რომელიც მიღწეულ იქნა ყველა სადაო საკითხის უბრალო მოხსნით, გადაიქცევა ერთსულოვნებად მხოლოდ და მხოლოდ კონვენციის სახელწოდების საკითხში.

მე ვიცი, —ამბობს ლიტვინოვი,— რომ ჩემი გამოსვლები თქვენს წინაშე განიარაღების სასარგებლოდ დარჩება ხმად - მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მაგრამ თორმეტ საათზე მე უკანასკნელად კვლავ ვიმეორებ ჩემს მოწოდებას. თუ უარყოფთ საბჭოთა კავშირის და გერმანიის წინადადებას სამხედრო მასალის შესახებ, კონვენციის პროექტი არ ეღირება იმ მელნის ფასადაც კი, რომლითაც ის არის დაწერილი.

კამათის გაგრძელება გადაიდო პარასკევისათვის. (ადს).

კოოპერატიული ალიანსის აღმასკომის სესია

პარიზი, 3 მაისი. ალიანსის აღმასკომის სესიაზე საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელმა კისინმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ სხდომა საერთაშორისო პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნად, პირველი მაისის ნაცვლად, მოეწყოს 2 მაისს. წინადადება უარყოფილ იქნა.

აღმასკომს პასუხი უნდა გაეცა მეორე ინტერნაციონალის წინადადებაზე საერთო გამოსვლის შესახებ მშვიდობიანობის საკითხში. კისინმა ამხილა მეორე ინტერნაციონალის პაციფისტური ბუნება და მოითხოვა წინადადების უარყოფა. აღმასკომმა დაადგინა—არ განიხილოს საკითხი არსებითად.

აღმასკომში წარდგენილი მოწოდების პროექტი წმინდა პაციფისტური ხასიათის იყო. კისინი მოითხოვდა,—მოწოდებაში შეეტანათ ლოზუნგები ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის გარემოცვის წინააღმდეგ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესახებ და სხვ. ამ წინადადების უარყოფის შემდეგ კისინმა მოხსნა საბჭოთა დელეგაციის ხელმოწერა მოწოდებაზე. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა გადაიდო

ბერლინი, 3 მაისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 5—10 მაისისათვის (დრეზდენში) განუსაზღვრელი დროისათვის გადაიდო. (ადს)

გემ „საქართველო"-ს შეხვედრა ფოთში

ფოთი, 4 მაისი. დღის 3 საათზე ნავთსადგურში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. თბომავალ „საქართველო"-ს ზღვაში შეხვდა კატერა „წითელი აჭარისტანი". თბომავალის შემოსვლა ნავთსადგურში ზარბაზნების სროლით აღინიშნა.

მიტინგი გახსნა პარტკომის მდივანმა ამხ. იმედაძემ. ამხ. თოდრიამ თბომავალს გადასცა დროშა საქართველოს მთავრობის სახელით.

მთელი რიგი ორატორების მისალმების შემდეგ შავი ზღვის ფლოტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვარენიკინმა, რომელმაც საქართველოს მთავრობას გადასცა თბომავალის სურათი. (ადს)

ჩვენ შევასრულებთ 5 წლ. გეგმას

დავსძლევთ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეს

საკ. კომპ. (ბ) XVI პარტკონფერენციის მოწოდება

მოსკოვი, 4 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 საკავშირო კონფერენციის მოწოდებაში საბჭოთა კავშირის ყველა მუშისა და მშრომელი გლეხისადმი ნათქვამია:

„ამხანაგებო! ისტორიამ უდიდესი ამოცანები დასვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე. შედარებით მოკლე ისტორიული ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და განვახორციელოთ მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. უნდა უზრუნველვყოთ ინდუსტრიის სწრაფი ტემპი და მასთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარება, უფრო და უფრო გავაფართოვოთ მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობა სოფლად (საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი) უმაღლესი სამანქანო ტეხნიკის ნიადაგზე. უნდა გავფართოოთ მასების ფართო მოძრაობა კულტურისათვის და სახელმწიფო აპარატიდან აღმოვფხვრათ ფუფუნების, მფლანგველობის, უყაირათობის, საქმის გაჭიანურების და ბიუროკრატიზმის ყოველგვარი ელემენტი. ჩვენ უნდა განვავითაროთ შემდგომი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე. უნდა დავძლიოთ და განვდევნოთ კაპიტალისტური ელემენტები არა მარტო ქალაქიდან, არამედ სოფლიდანაც. გადაუხრელად უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა. ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა ემყარებოდეს მუშათა და მშრომელ გლეხთა მტკიცე კავშირს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

ამ ამოცანების შესასრულებლად პარტიამ დაამტკიცა სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შეადგენს პარტიის პროგრამას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის გზაზე, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ძლევამოსილად გაშლა-გაფართოების გზაზე. ფაბრიკების, ქარხნების, ელექტროსადგურების, რკინის გზების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სკოლების მშენებლობაში ხუთი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნება 64 მილიარდი მანეთი. ყველა ფაბრიკა, ქარხანა და მაღარო გადაყვანილი იქნება შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია ქალაქად და სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებზე პროლეტარიატის გაძლიერებული შეტევის დროს იწვევს კლასობრივი მტრების გაფრთებულ წინააღმდეგობას. კულაკი და ნეპმანი უბრძოლველად არ დასთმობენ თავიანთ პოზიციებს. კულაკები წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა პოლიტიკას პურის დამზადების საქმეში, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში, ისინი სცდილობენ ტერორით დააშინონ ახალი სოფლის მშენებელნი. კულაკს და ნეპმანს მხარს უჭერენ მრეწველობის კონტრ-რევოლიუციონური მავნებლები. მათ ხელს უწყობენ ბიუროკრატები ჩვენს დაწესებულებებში. მათ ასულდგმულებენ და ყოველგვარი საშუალებით ხელს უწყობენ უცხოელი კაპიტალისტები.

ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასების ზეგავლენამ გამოიწვია მერყეობა და ქანაობა მუშათა კლასის და გლეხობის ცალკე ფენებს შორის და წარმოშვა ოპორტუნისტული გადახრა კომპარტიის რიგებში, მხოლოდ მერყეობის და ქანაობის დაძლევით საკუთარ რიგებში, მხოლოდ მემარჯვენე გადახრის საბოლოო დამარცხებით შესძლებენ პარტია და პროლეტარიატი დასძლიონ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა და განახორციელონ სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა.

მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე აღმართული იყო მრავალი დაბრკოლება და სიძნელე. მათ დაძლევაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასის მასიური ინიციატივის გაშლა-განვითარებას. 1919 წელს, როცა ჩვენს ქვეყანას, მომწყვდეულს თეთრი ბანდიტებისა და ინტერვენტების რკალში, სული ეხუთებოდა სამეურნეო ნგრევით და შიმშილით, როცა ფრონტებზე ასი ათასობით იხოცებოდა საუკეთესო პროლეტარი და გლეხი, შიმშილით დასუსტებულმა მუშებმა, ნგრევის პირობებში, საკუთარი ინიციატივით მოაწყვეს ზურგში კომუნისტური შაბათობანი შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და იმისათვის, რომ ზედმეტი ასი და ორასი ფუთი ქვა-ნახშირი, პური და სათბობი დაემზადებიათ ცეცხლის შესანარჩუნებლად პროლეტარული სახელმწიფოს კერაზე. ლენინმა მაშინ შაბათობას უწოდა „დიადი თაოსნობა", მუშათა გმირობა ზურგში.

1920 წელს პარტიის მე-9 ყრილობაზე მიღებულ იქნა დადგენილება შრომითი შეჯიბრების შესახებ, რომლის იდეას ლენინი განუყრელად უკავშირებდა სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. „ყოველ სოციალურ წყობილებას (მონურს, ბატონ-ყმურს, კაპიტალისტურს),—ნათქვამია რეზოლიუციაში,—ჰქონდა შრომითი იძულების, შრომითი აღზრდის საკუთარი მეთოდები და საშუალებანი, რომლებიც მჟვლეფელთა ზედაფენების ინტერესებს ემსახურებოდნენ. საბჭოთა წყობილების წინაშე სრული მოცულობით სდგას შემდეგი ამოცანა: მან უნდა განავითაროს ზეგავლენის საკუთარი მეთოდები, იმ მიზნით, რომ გაადიდოს შრომის ინტენსიობა და მიზანშეწონილება განსაზოგადოებული მეურნეობის ნიადაგზე მთელი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. ამ მხრივ საჭიროა საგიტაციო-იდეური ზეგავლენა მშრომელ მასებზე და რეპრესიები აშკარა უსაქმურების, პარაზიტების და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად უძლიერეს ძალას შრომის ნაყოფიერების ასაწევად წარმოადგენს შეჯიბრება. შეჯიბრებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში კონკურენციის ხასიათი ჰქონდა და იწვევდა ადამიანის ყვლეფას ადამიანის მიერ. იმ საზოგადოებაში, სადაც მოხდა საწარმოო საშუალებათა ნაციონალიზაცია, შეჯიბრებამ შრომაში, შეჯიბრებამ, რომელიც არ არღვევს სოლიდარობას, უნდა გაადიდოს შრომის პროდუქტების საერთო რაოდენობა. შეჯიბრება ქარხნებს, რაიონებს, ცეხებს, სახელოსნოებს და ცალკე მუშებს შორის საუკეთესოდ უნდა მოაწყონ და დაკვირვებით უნდა შეისწავლონ პროფესიონალურმა კავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა". პარტიის მე-9 ყრილობის ეს გადაწყვეტილება ეხლაც სავსებით დროული და პრაქტიკულია.

ამხანაგო მუშებო და მშრომელო გლეხებო! სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად და ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შემდგომი შეტევის გასაშლელად, ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად მოაწყვეთ შეჯიბრება მშენებლობის ყოველ დარგში, მოაწყვეთ ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროების, რკინის გზების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა დაწესებულებების, სკოლების, სავადმყოფოების შეჯიბრება, მოაწყვეთ შეჯიბრება თვითღირებულების შემცირებაზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, ნათესი სივრცის გაფართოვებაზე, მოსავლიანობის გადიდებაზე, კოლმეურნეობებსა და კოოპერაციაში გლეხობის ჩაბმაზე, სახელმწიფო აპარატის გამარტივებაზე, მასებთან მისი კავშირის განმტკიცებაზე, კულტურულ-ყოფაცხოვრების იმ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებაზე, რომლებიც მშრომელ მასებს ემსახურებიან.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დაიწყო წელს ლენინის კომკავშირის და პრესის თაოსნობით, უფრო და უფრო ხდება მძლავრ მასიურ მოძრაობად. შეჯიბრების პირველი შედეგები ასეთია: დონბასის მემაღაროებმა (ლუგანსკი, შახტი) საწარმოო პროგრამა მარტში ქვა-ნახშირის ამოღების დარგში გადამეტებით შეასრულეს, ივანოვო-ვოზნესენსკის, ტვერის და მოსკოვის ფეიქრებმა ურთიერთთან დასდეს სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულება მიმდინარე სამეურნეო წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების შესახებ, ურალის, ლენინგრადის, დნეპროპეტროვსკის, მოსკოვის და როსტოვის მუშებმა ასობით შექმნეს დამკვრელი ბრიგადები და შემცვლელნი, მუშათა ახალი და ახალი რაზმები დღით-დღე ებმებიან შეჯიბრებაში, უკვე ეჯიბრებიან ერთმანეთს, უკრაინის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი და მათთან ერთად მოსავლიანობისა და კოლექტივიზაციის ლაშქრობაში ჩაებმნენ ციმბირი, ჩრდილოეთ კავკასია, ვოლგის ქვემო და შუა რაიონები. მშრომელთა გმირობა და თავგანწირულება შრომის ასპარეზზე გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ ნებაყოფლობით ადიდებენ გამომუშავების ნორმებს, მუშაობენ უქმე დღეებში, იზრდება საწარმოო თათბირების წინადადებანი, ბოიკოტს უცხადებენ ზარმაცებს და სამუშაოს გამცდენებს, იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. „კომუნიზმი იწყება იქ, სადაც თავს იჩენს მორიგი მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად" (ლენინი). შეჯიბრება, რომელიც იწვევს მასების შემოქმედებითი ენერგიისა და ინიციატივის ამოძრავებას, უნდა გადაიქცეს მუდმივ მეთოდად მშრომელთა ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში. შეჯიბრება, პროლეტარული რიგების შიგნით თვითკრიტიკასთან ერთად, უნდა გახდეს მუშათა კლასის, განსაკუთრებით სოფლებიდან გამოსული ახალი მუშების და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიული ფენების სოციალისტური აღზრდის იარაღად. შეჯიბრებამ უნდა გამოიწვიოს ჩვენი საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციების, პირველ რიგში—პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლა, ხელი უნდა შეუწყოს მასების ფართოდ ჩაბმას მეურნეობის და მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ შეჯიბრების მონაწილეთა წახალისების სისტემა. საუკეთესო მუშების, სპეციალისტების, სამეურნეო მუშაკების და აგრონომების სახელები, საუკეთესო ქარხნების, მაღაროების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების სახელწოდებანი ცნობილი უნდა გახდეს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. საჭიროა, „რომ მეურნეობის საქმიანი შედეგების შედარება ცალკე კომუნებისათვის გადაიქცეს საერთო ინტერესისა და შესწავლის საგნად, რომ კარგად მოწყობილი კომუნები დაუყოვნებლივ დაჯილდოებულ იქნენ (სამუშაო დღის შემცირებით განსაზღვრული დროის განმავლობაში, ხელფასის გადიდებით, კულტურულ და ესტეტიურ დარგში ხელის შეწყობით) და სხვ." (ლენინი). პრესამ მასების მსჯელობის საგნად უნდა გახადოს შეჯიბრებულ საწარმოთა საქმიანი შედეგები, სისტემატიურად უნდა გააშუქოს შეჯიბრების მსვლელობა და გამოიწვიოს ფართო ინტერესი მისდამი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა შეინარჩუნა და გაამრავლა წარსული წლების გმირული ტრადიციები. ლენინის იდეა—„შეჯიბრების მოწყობა სოციალისტურ საფუძველზე", სულ უფრო და უფრო ხორციელდება პრაქტიკულად. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პრინციპები უფრო და უფრო იკიდებენ ფეხს წარმოებაში. დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც ფეხს იკიდებენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კომუნისტური შაბათობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელნი არიან. საწარმოო შემოწმებებს, გამოწვევებს, კონკურსებს და სხვებს, საწარმოო თათბირებისა და კონფერენციების მუშაობის უაღრესად გაფართოებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევათ სოციალიზმის მშენებლობის მთელი საქმისათვის. საბჭოთა ფაბრიკებსა და ქარხნებში იზრდება სოციალისტური მუშის ახალი ტიპი. იზრდება მშრომელთა მასების როლი და მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც უფრო და უფრო ფართოვდება, წარმოადგენს იმის ერთ-ერთ საუკეთესო გარანტიას, რომ შესრულდეს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა პარტიის გენერალური ხაზის ნიადაგზე. იმედდაკარგულთა და პანიკიორთა ოპორტუნისტული მერყეობის მიუხედავად, მიუხედავად კლასობრივი მტრების გაფთრებული წინააღმდეგობისა, მუშათა კლასი, სოფლის მშრომელ მასებთან ერთად, წავა წინ ძლევა-მოსილად სოციალისტური საზოგადოების აგების გზით.

ხუთწლიანი გეგმა არის გეგმა მუშათა კლასის ბრძოლისა კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად, მასების სოციალისტურად აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობისათვის საძირკვლის შექმნის გეგმა. სოციალისტური შეჯიბრება მძლავრი იარაღია მასების ინიციატივის ასამოძრავებლად ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, იგი ამავე დროს არის მძლავრი იარაღი ქვევიდან თვითკრიტიკის განვითარებისათვის. შეჯიბრება და ხუთწლიანი გეგმა განუყრელად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამ ამოცანების შესრულების ნიშნით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მიდის წინ პროლეტარული დიქტატურის კლასობრივ მტრებზე შემდგომი შეტევისათვის.

პარტია მოუწოდებს ყველა პროლეტარს და ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს უფრო მეტის ენერგიით, საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური დროშით, განავითარონ ბრძოლა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმისათვის.

გაუმარჯოს სოციალისტურ შეჯიბრებას!
გაუმარჯოს კომუნიზმს!

საკავშირო კომპარტიის მე-16 კონფერენცია.
1929 წ. 29 აპრილი.

ხვალ, 6 მაისს „კომუნისტი"
გამოვა როგორც ჩვეულებრივ
და დაურიგდება ხელისმომწერლებს

„კომუნისტი"-ს კანტორა (რუსთვ. პროსპ. 34), დღეს ღია იქნება

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

„ინსპექციის ფურცელი"

ხშირად, როცა ამა თუ იმ მუშაობის შეფასება სწარმოებს, ჩვეულებად არის მიღებული უმთავრესად უარყოფითი მხარეების აღნიშვნა. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ არ დავარღვევთ ასეთ წესს. ეს მით უფრო, რომ „ინსპექციის ფურცელი" შედარებით ახალი საქმეა, მას ჯერ კიდევ მრავალი დეფექტები ახლავს და ამ დეფექტებზე მითითებას გაცილებით მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, ვიდრე უმთავრესად მიღწევებზე შეჩერებას.

თვითკრიტიკის ლოზუნგი, რასაც ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, თავის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებას პრესაში პოულობს. „ინსპექციის ფურცელი" კი სპეციალურად იმისათვის არის მოწოდებული, რომ მან გააშუქოს ჩვენი მიმდინარე მუშაობის ყველაზე უფრო საგულისხმო მტკივნეული მხარეები, ყველაზე უფრო დამახასიათებელი დეფექტები, რომელნიც საზოგადო სენის ხასიათს ატარებენ და რომელთა განკურნებაც განსაკუთრებით საშურ საქმეს წარმოადგენს. რამდენად ასრულებს ჩვენი ფურცელი ამ ამოცანას? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, უნდა აღინიშნოს, რომ „ინსპექციის ფურცლის" მუშაობას ჩვენში უმეტეს შემთხვევაში იგივე ნაკლი ახლავს, რაც, საზოგადოდ, ახასიათებს თვითკრიტიკის ლოზუნგის განხორციელების საქმეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში.

ყველაზე უფრო საგულისხმო ნაკლად ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს შესრულების შემოწმება, ე. ი. იმის კონტროლი, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში ის მითითებანი და ღონისძიებები, რომელთაც ჩვენ ვსახავთ ამა თუ იმ დეფექტების აღმოჩენასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი უკანასკნელი წლის განმავლობაში მეტად პოპულიარული გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო დაირაზმა მშრომელთა ახალი ფენები, ჩვენ მაინც არ ვკმაყოფილდებით ამ მიღწევებით და ყოველთვის, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, გავიძახით, თვითკრიტიკის კიდევ უფრო გაშლა-გაღრმავებაზე. და სწორედ იმისათვის, რომ ეს ასეც მოხდეს, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გვმართებს შესრულების შემოწმებისათვის. არავითარი აზრი არა აქვს კრიტიკას, თუ გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი გამოუსწორებელი დარჩა, თუ მზის სინათლეზე ყურით გამოთრეული ბოროტების ჩამდენი დაუსჯელი დარჩა. ეს ჰკლავს მშრომელი მასების ყოველივე ინიციატივას თვითკრიტიკის დარგში, ეს მამხილებელ მუშაობას აქცევს კრიტიკათ კრიტიკისათვის და, რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, არავითარ სარგებელს მატებს საქმეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ჩვენ თავდაპირველად სწორედ ამ მომენტზე შევჩერდით „ინსპექციის ფურცლის" მუშაობის შეფასების დროს.

უნდა აშკარად ითქვას, რომ „შესრულების შემოწმება" ინსპექ. ფურცლის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს. კორესპონდენციების დიდი ნაწილი ბევრ შემთხვევაში უშედეგოდ რჩება. რატომ ხდება ეს? თქმა იმისა, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავენი არიან მარტო ის ორგანიზაციები, რომელთაც შეეხება ფურცელში დაბეჭდილი კორესპონდენცია, სამართლიანი არ იქნებოდა. ცხადია, რომ აქ ბრალი მიუძღვის თვით რედაქციასაც, რომელმაც ვერ შესძლო შესრულების შემოწმების მოწყობა. მართალია ეს უფრო ფინანსიური შესაძლებლობის საკითხია, (რადგან მოითხოვს სპეციალურ შტატს), ვიდრე რედაქციის კეთილი სურვილის, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება—არ არის მიღებული ზომები იმისათვის, რომ შესრულების შემოწმება სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

ამასთანავე ისიც უდავოა, რომ აქ დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებს. ნუ თუ ყველა მოწინავე საბჭოთა მოქალაქისათვის და პარტიის წევრთათვის ფიცხელი ზომების მისაღებად საკმაო არ უნდა იყვეს ის ფაქტი, რომ პრესაში გამოქვეყნდა მამხილებელი ან რაიმე პრაქტიკული ხასიათის კორესპონდენცია დაწესებულებაზე, რომელშიაც ის მუშაობს? ნუ თუ სპეციალური მიმართვაა საჭირო იმისათვის, რომ ზემოხსენებულ პირებს მოაგონო მათი ელემენტარული საზოგადოებრივი და ხშირად ადმინისტრატიული მოვალეობა? სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, ეს ასეა. ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობთ თვითკრიტიკის ლოზუნგზე, ვიდრე პრაქტიკულად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. სათანადო ორგანიზაციებმა თითქოს ყური შეაჩვიეს პრესის მამხილებელ მუშაობას და ხშირად თავს არ იტკივებენ გაზეთში მოთავსებულ საჭირბოროტო კორესპონდენციის გამო სათანადო ზომების მისაღებად. ამ მხრივ მოისუსტებენ ინსპექციის ორგანოებიც, პროკურატურაც, მილიციაც და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიც. პრესაში გამოქვეყნებულ პრაქტიკულ და მამხილებელ წერილების უყურადღებოთ დატოვება—ესაა ერთ-ერთი იმ თვალსაჩინო მოვლენათაგანი, რომელშიაც გამოიხატება ბიუროკრატიზმის ბრძოლა პარტიისა და ხელისუფლების სასარგებლო ღონისძიებების წინააღმდეგ. ბიუროკრატიზმი და თვითკრიტიკა—ორი ერთმანეთის უარმყოფელი კატეგორიაა. და რათ უნდა გავიკვირვოთ, თუ ბიუროკრატიზმით დაავადებული აპარატი, ხშირად ვერ სდგას მოწოდების სიმაღლეზე, თუ ის ყოველნაირად წინააღმდეგობას უწევს თვითკრიტიკის გაღრმავების საქმეს.

ხშირად გვიგონებთ საყვედურს პრესის მიმართ, რომ პრესა უხალისოდ ბეჭდავს ან სრულიად არ ბეჭდავს საპასუხო წერილებს. ეს საყვედური არ არის მოკლებული ერთგვარ საფუძველს. ყველა საპასუხო წერილს ვერ დაბეჭდავ. გულნატკენი გაზეთზე ამ შემთხვევაში უმეტესად რჩება ის, ვისაც ყველაზე ნაკლები უფლება აქვს მოსთხოვოს გაზეთს საპასუხო წერილის მოთავსება. კორესპონდენციის უმრავლესობა კი სრულიად უყურადღებოდ რჩება. ამრიგად ეს დუმილი პრესაში გამოქვეყნებულ მითითებებზე, თვით ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ მრავალ კორესპონდენციაზე საპასუხო წერილი არ იბეჭდება.

თვითკრიტიკის დარგში ჩვენი მორიგი მთავარი ამოცანაა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა შევძლოთ ბიუროკრატიზმის იმ კედელის გარღვევა, რომელიც აღმართულია ამ შემთხვევაში თვითკრიტიკის ლოზუნგის განხორციელების გზაზე. ეს ამოცანა უთუოდ იქნება გადაწყვეტილი, რაც უნდა განსაზღვრული არ იყვეს ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობანი, მაინც უნდა გამოიძებნოს სახსარი იმისათვის, რომ შესრულების შემოწმების საქმე მოგვარებულ იქნას.

აქვე არ შეიძლება არ შევჩერდეთ „ინსპექციის ფურცლის" მეორე ნაკლზე. ეს არის ის, რომ წვრილმანი ხასიათის მასალა ჯერ კიდევ მეტ ადგილს იჭერს ფურცელში. სუსტად არის დაყენებული დეფექტების საერთო მიზეზების გამომჟღავნების საქმე. „ინსპექციის ფურცელში" გასული მასალა ვერ არის სათანადოდ შერჩეული ძირითად მტკივნეულ საკითხების მიხედვით. ეს უმთავრესად იმას მიეწერება, რომ თვით ადგილობრივი კორესპონდენციები არ იძლევიან ან ვერ იძლევიან სათანადო მასალებს. მეტი ყურადღება ექცევა პიროვნებების გამომჟღავნებას, რაც უთუოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამავე დროს შესაფერი ყურადღება ვერ ეთმობა მთავარ საჭირ-ბოროტო საკითხებსაც. ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, თუ თემების მიხედვით გადავავლებთ თვალს იმ მასალებს, რომელნიც ერთი წლის განმავლობაში გავიდა ინსპექციის ფურცელში:

1. სამეურნეო საკითხებზე დაიბეჭდა 66 წერილი და კორესპონდენცია;
2. ბიუროკრატიზმზე—126;
3. აპარატის რაციონალიზაციის შესახებ—65.
4. აპარატის შემადგენლობის გაუმჯობესებაზე—122.
5. თანამდებობრივი ბოროტმოქმედებაზე—150.
6 უმომჭირნეობაზე—86.
7. პროტექციონიზმზე—101.
8. მიწის ყიდვა-გაყიდვაზე—18.

ბიუროკრატიზმის, აპარატის შემადგენლობის გაუმჯობესების, თანამდებობრივ ბოროტმოქმედების და სხვა საკითხებთან შედარებით სამეურნეო საკითხებს მეტად მცირე ადგილი უჭირავს. ამავე დროს ვიცით, თუ რამდენი შეცდომები ხდება ჩვენს სამეურნეო მუშაობაში, ვიცით, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს პარტია რაციონალიზატორულ საქმიანობას. მართალია უკანასკნელი თვეების განმავლობაში „ინსპექციის ფურცელში" თან და თან ემჩნევა მასალების დალაგება თემის მიხედვით, მაგრამ ეს კიდევ ის არ არის, რაც უნდა იყვეს. ამ მიმართულებით, ჩვენ დიდი მუშაობის წარმოება დაგვჭირდება. კონკრეტულ ბოროტმოქმედ პირთა დაუზოგავი მხილება, მიუხედავად მათი თანამდებობრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობისა,— ამასთან ერთად ყურადღების გამახვილება სამეურნეო აღმშენებლობის პრაქტიკულ საკითხებზე და დეფექტების საერთო მიზეზების გამოაშკარავებაზე— ასეთია ჩვენი ამოცანა მამხილებელ მუშაობაში.

მიუხედავად აღნიშნულ დეფექტებისა, „ინსპექციის ფურცელმა" უკვე მოიპოვა თავისი ადგილი ჩვენს სინამდვილეში. „ინსპექციის ფურცელი" უკვე საკმაოდ პოპულიარული გახდა მკითხველ მშრომელ მასებში. ამას, სხვათა შორის, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ფურცელს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები, სპეციალურად მის სახელზე მოდის მრავალი კორესპონდენცია.

ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ „ინსპექციის ფურცელს" უთუოდ აქვს ყველა ობიექტიური პირობები იმისათვის, რომ ის გაიზარდოს და გაუმჯობესდეს. უახლოესი წელიწადი გვიჩვენებს, თუ რამდენად შესძლებენ მუშგლეხინი და ჩვენი გაზეთი ამ იმედების გამართლებას.

კვესი.

მუშ-გლეხკორთა შორის მუშაობის ნაკლოვანებები და პერსპექტივები

მუშ-გლეხკორთა მოძრაობა საქართველოში ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმოიშვა. ეს მოძრაობა დღითი-დღე იზრდება რიცხვობრივად და უმჯობესდება ხარისხობრივად, მუშ-გლეხკორთა მოძრაობის ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პარტიის მიერ თვითკრიტიკის ლოზუნგის გადმოსროლამ.

„პარტია გაბედულად და გადაჭრით ააშკარავებდა—ნათქვამია ცეკას მიერ გამოცემულ მოწოდებაში,—მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის ყველა დეფექტს და წყლულს. პარტიამ მოუწოდა მშრომელთ სასტიკი თვითკრიტიკისაკენ, რათა ეს თვითკრიტიკა გახდეს იმ ბრძოლის ბერკეტად, რომელიც მიზნად ისახავს მთელი აპარატის ნამდვილად გაუმჯობესებას; თვითკრიტიკა უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ და არა ფორმალურ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, მასიურ შეტევას ყველა ჩვენი მტრის წინააღმდეგ, დაწყებული კულაკიდან და დამზიანებლებიდან და გათავებული გახრწნილი ელემენტებით ჩვენს საკუთარ რიგებში".

პარტიის ასეთ მოწოდებას ფართედ გამოეხმაურენ მშრომელი მასები. მუშ-გლეხკორთა რიგებში ჩადგნენ ასეული და ათასეული ახალი მებრძოლები. ამ მოძრაობამ მიიღო მასიური სახე და ის გადაიქცა პარტიის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად სოციალისტურ მშენებლობის წინაშე წამოჭრილი სიძნელეთა გადალახვის და ჩვენი კლასიური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

თვითკრიტიკის ლოზუნგმა „პიროვნების განურჩევლად"—აშკარა გამოხატულება ჰპოვა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხკაცობის რიგებში. უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშ-გლეხკორების მიერ არა ერთი და ორი დაუდევრობის, უყაირათობის, [illegible] გაფლანგვის ფაქტები და სხვა მრავალი ნაკლოვანება იქნა მზის სინათლეზე გამოტანილი. მაგრამ არსებული მიღწევებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. მუშ-გლეხკორთა მოძრაობის წინაშე დღესაც მთელი სიგრძე-სიგანით სდგას საკითხი გაასკეცებული ენერგიით განაგრძოს ბრძოლა ყოველგვარი ნაკლოვანებების გამოსააშკარავებლად და ხელი შეუწყოს ხელისუფლებას მის აღმოფხვრაში.

სწორედ ამ მიზნით მიიღო დადგენილება მე-4 საკავშირო თათბირმა მუშ-გლეხკორთა მოძრაობის მასიურ მოძრაობად გარდაქმნის შესახებ. თათბირის დადგენილების მიხედვით, უახლოესი წლების განმავლობაში ამ მოძრაობაში უნდა ჩაებან მილიონიანი მასები. ამ ამოცანის განხორციელება პარტიისა და რედაქციებისაგან მოითხოვს უდიდესი ენერგიის გამოჩენას მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერების სახით.

როგორი ხელმძღვანელობა იყო საქართველოში დღემდის მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე?

უაღრესად არადამაკმაყოფილებელი. კიდევ მეტი, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხელმძღვანელობა თითქმის სავსებით არ არსებობდა. ხელმძღვანელობის საქმეს ჩვენში უფრო შემთხვევითი ხასიათი ქონდა, ვინემ რეგულიარული. და ეს ფაქტი სამართლიანად არის აღნიშნული მე-4 საკავშირო თათბირის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ხელმძღვანელობა მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ნაციონალურ რესპუბლიკებში (განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში) ძალზე სუსტია". ასეთივე აზრია გამოთქმული მუშ-გლეხკორთა სრ. საქართველოს პირველი თათბირის მიერ მიღებულ რეზოლიუციაშიც.



„კომუნისტი"-ს წლიური ტირაჟის ზრდა

მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობისათვის რომ დიდათ არავინ იწუხებდა თავს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მხოლოდ მე-9 წელში ჩვენ ძლივს შევძელით მუშ-გლეხკორთა სრ. საქართველოს პირველი თათბირის მოწვევა. არ მოგვეპოვება სპეციალური ლიტერატურა მუშ-გლეხკორთა მოძრაობის შესახებ ნაციონალურ ენებზე, დღემდის არ გვქონდა მუშ-გლეხკორთა სპეციალური ჟურნალი, თითქმის არც ერთ რედაქციებთან არ არსებობდა და დღესაც არ არსებობს მუშ - გლეხკორთა განყოფილებები, არ სწარმოებდა მუშ - გლეხკორებისა და მათ მიერ რედაქციებისათვის მოწოდებული წერილების აღრიცხვა, მცირედი გამონაკლისის გარდა არ იწვევოდა მუშ-გლეხკორთა სამაზრო და სარაიონო თათბირები; დღემდის ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რამდენი კედლის გაზეთი გამოდის საქართველოში, ხოლო ამ გაზეთებზე რედაქციების ძიერ რეგულიარულ ხელმძღვანელობის გაწევაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

ამხ. ჟოჟიკაშვილმა მუშ-გლეხკორთა თათბირზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველოში ამჟამად 7 ათასი მუშ-გლეხკორია აღრიცხული. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ რომ აღრიცხვის საქმე მოწესრიგებული გვქონდეს, გაცილებით მეტ რიცხვს მივიღებდით.

„კომუნისტი"-ს რედაქცია მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ აპრილიდან აწარმოებს მუშ-გლეხკორთა წერილების აღრიცხვას. ერთი თვის განმავლობაში აღრიცხვის მიხედვით რედაქციამ 1063 წერილი მიიღო მუშა და გლეხ-კორესპონდენტებისაგან, რაც ნათლად ადასტურებს, თუ როგორი სწრაფი ტემპით იზრდება ჩვენში მუშ-გლეხკორთა მოძრაობა. მაგრამ ხელმძღვანელობის უქონლობის გამო ამ მოძრაობას კიდევ არა აქვს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული სახე. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა მუშკორის, ან გლეხკორის არჩევის, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ დანიშვნის, წერილებზე წინასწარი ცენზურის დაწესების და სხვა. რედაქციას დღესაც ხშირად მოსდის პარტუჯრედის, ან ადგილკომის სხდომის ოქმიდან ამონაწერი ამა თუ იმ პიროვნების მუშკორად გამოყოფის შესახებ და ასეთი მდგომარეობა გრძელდება დღესაც, როდესაც როგორც საკავშირო, ისე საქართველოს მუშ-გლეხკორთა თათბირებმა მიიღეს დადგენილებები მუშ-გლეხკორთა ყოველგვარი არჩევისა და გამოყოფის წინააღმდეგ. ადგილობრივი პარტორგანიზაციები მუშ-გლეხკორთა და კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობის საკითხს სხვათაშორისო საქმედ სთვლიან. მათ უმრავლესობას არა აქვთ შეთვისებული და შესწავლილი პარტიის დირექტივები და მუშ-გლეხკორთა თათბირების დადგენილებანი, თუ როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილებზე მუშ-გლეხკორთა მოძრაობას. ეს ორგანიზაციები მუშ-გლეხკორთა საქმიან შენიშვნებზე ზომების მიღებასაც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

დღეს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშ-გლეხკორთა რიგების სიწმინდის საკითხს. თვითკრიტიკის ლოზუნგის ფართოდ გაშლა შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს თვითკრიტიკა თავიანთ ზრახვების განსახორციელებლად და სოციალისტური მშენებლობისათვის ზიანის მისაყენებლად გამოიყენონ. ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი მოგვეპოვება, როდესაც ამა თუ იმ ანტისაბჭოთა ელემენტს შეცდომაში შეჰყავს რედაქციები, განზრახ სცხებენ ჩირქს როგორც სოციალისტურ აღმშენებლობას, ისე რომელიმე ენერგიულ და თავდადებულ მუშაკს. მუშ-გლეხკორთა რიგების სიწმინდის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოძრაობას გაუწევთ სწორ ხელმძღვანელობას და სათანადო დონეზე დავაყენებთ აღრიცხვის საქმეს.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მუშ-გლეხკორთა წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება და ამ მოძრაობის მასიურად გარდაქმნა როგორც პარტორგანიზაციების, ისე რედაქციების მხრივ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. პირველ ყოვლისა აუცილებელია, როგორც ამის შესახებ მიგვითითებს საკავშირო მე-4 თათბირის დადგენილება, ყველა რედაქციასთან ჩამოყალიბდეს მუშ-გლეხკორთა განყოფილებები; გადაიდგას ნაბიჯი უფასო ინსტრუქტაჟის შესაქმნელად მცოდნე და მომზადებული მუშ-გლეხკორებისაგან; დაწვრილებით იქნას შესწავლილი თათბირების მიერ მიღებული დადგენილებანი მათი ცხოვრებაში გატარების მიზნით; რეგულიარულად გამოიცეს ნაციონალურ ენებზე მუშ-გლეხკორთა ლიტერატურა; პერიოდულად იქნეს მოწვეული მუშ-გლეხკორთა სამაზრო და სარაიონო თათბირები; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშ-გლეხკორთა აღმზრდელობითი და აღრიცხვის საქმის მოწესრიგებას.

ამ მიმართულებით მუშ-გლეხკორთა სრ. საქართველოს პირველი თათბირის შემდეგ პარტიისა და რედაქციების მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი. მუშ-გლეხკორთა ჟურნალი, რომლის სისტემატიური გამოცემა ამ დღეებში დაიწყება, უსათუოდ დიდი მიღწევაა მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეში. მიღებულია ზომები სათანადო ლიტერატურის გამოსაცემადაც, კერძოდ „კომუნისტი"-ს რედაქციამ უკვე შექმნა მუშ-გლეხკორთა განყოფილება, რაც საშუალებას გვაძლევს ამიერიდან უფრო მტკიცე და სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიოთ მუშ-გლეხკორთა მოძრაობას. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სათანადო ნაყოფს, თუ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას გაუწევენ რედაქციას მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის საქმეში.

ამასთან ერთად საჭიროა თვით მუშ-გლეხკორებმა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმაც გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და თვითმოქმედება. მუშ-გლეხკორები და სარედაქციო კოლეგიები უნდა ერკვეოდნენ პარტიის და ხელისუფლების დირექტივებში. დღეს ჩვენში სისტემატიურად სწარმოებს რომელიმე მნიშვნელოვანი კამპანია. ასეთი კამპანიების წარმატებით განხორციელებისათვის მუშ-გლეხკორები ყოველთვის პირველ რიგებში უნდა იდგნენ და მათ ხელი შეუწყონ ამ კამპანიების წარმატებას, როგორც ნაკლოვანებათა გამოაშკარავებით, ისე მიღწევების აღნიშვნითაც. კერძოდ ამჟამად, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ისე საქართველოშიაც ტარდება საგაზაფხულო თესვის კამპანია და სოციალისტური შეჯიბრება წარმოებაში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. ორივე ამ კამპანიას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის: მუშ-გლეხკორებმაც დღეს სწორედ ამ საკითხებზე უნდა შეაჩერონ მთავარი ყურადღება.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ავამოძრაოთ შემოქმედებით თვითკრიტიკის მძლავრი ტალღა ქვედა ფენებიდან, რაც ნამდვილად გამოაცოცხლებს და განაახლებს ყველა ჩვენს პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს". თვითკრიტიკის ტალღის ამოძრავება ქვედა ფენებიდან—ასეთია პარტიის მიერ მოცემული დირექტივა. ეს ამოცანა მუშ-გლეხკორებმა უნდა განახორციელონ ამ მოძრაობაში მშრომელთა ფართე ფენების ჩაბმით, მუშ-გლეხკორთა მოძრაობის მასიურ მოძრაობად გარდაქმნით. ჩვენი მოვალეობაა გავაძლიეროთ მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობა და ამ გზით გავაადვილოთ მუშ-გლეხკორთა წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელება.

ს. ე.

მუშ-გლეხკორთა შორის მუშაობა

მუშ-გლეხკორთა შემადგენლობა

გაზ. „კომუნისტი"-ს გარშემო ამჟამად გაერთიანებულია 631 მუშა და გლეხი კორესპონდენტი. ამ რიცხვიდან თბილისში არის 129 მუშკორი, პროვინციის ფაბრიკა-ქარხნებში—81, დანარჩენ 421-ში შედიან საშუალო და ღარიბი გლეხები, ნაწილობრივად მოჯამაგირენი, სოფლის მასწავლებელნი, აგრონომები, მოსამსახურენი და ახალგაზრდობა. მუშ-გლეხკორთა სოციალური შემადგენლობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

მუშ-გლეხკორთა შორის ქალთა რიცხვი ჯერ-ჯერობით მცირეა; აღრიცხვაზე აყვანილ ქალ-კორესპონდენტების რიცხვი უდრის 27-ს. ეს გარემოება ერთი მხრივ აიხსნება ქალთა მასების კულტურულ ჩამორჩენილობით მამაკაცებთან შედარებით, ხოლო მეორე მხრივ მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე სუსტი ხელმძღვანელობით როგორც პარტორგანიზაციების, ისე გაზეთების რედაქციების მხრივ.

მუშაობა თბილისის მუშკორთა შორის

თბილისის მუშკორთა შორის მუშაობა უმთავრესად წარმოებდა რედაქციის ბინაზე, სადაც ვიწვევდით მუშკორთა საერთო კრებებს. აქ პასუხისმგებელი ამხანაგები მოხსენებებს აკეთებდნენ საჭირბოროტო საკითხებზე, პარტიის და ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანებზე და სხვ. ასეთი მოხსენებების შემდეგ მუშკორებს ეძლეოდათ დავალება, თუ რა საკითხებისათვის უნდა მიექციათ მათ მეტი ყურადღება.

ბოლო დროს მუშკორთა შორის მუშაობა და მათზე ხელმძღვანელობა გადადის ადგილებზედაც. ფაბრიკა-ქარხნებში ვაკეთებთ მოხსენებებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მუშკორთა მოძრაობასთან, და ყოველ საკითხის შესახებ ვაძლევთ მუშკორებს მითითებებს, თუ რაზე და როგორ უნდა სწერონ ბეჭდვითი ორგანოებში და კედლის გაზეთებში, ჩავატარეთ თბილისის წარმოება-დაწესებულებებში არსებული კედლის გაზეთების ნაწილობრივი აღრიცხვა და დროგამოშვებით უწევთ ხელმძღვანელობას ამ გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.



„კომუნისტი"-ს საშუალო დღიური ტირაჟის ზრდა წლების მიხედვით

რედაქცია ხელმძღვანელობს კედლის გაზეთების საკონკურსო გამოფენებს. აქ აძლევს დირექტივებს. აკეთებს საინსტრუქციო მოხსენებებს პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად. ასეთი გამოფენები ხდება რესპუბლიკანური მასშტაბით: რედაქცია ხელმძღვანელობს აგრეთვე ადგილებზე კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების გადარჩევებს.

მუშაობა პროვინციებში

წინად პროვინციის მუშ-გლეხკორებსა და კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობა ძალზე სუსტი იყო. რედაქცია კმაყოფილდებოდა პროვინციულ ცენტრებში დროგამოშვებით თანამშრომლის გაგზავნით მუშ-გლეხკორთა თათბირებზე. წინად რედაქციას არ ყავდა მუშგლეხთა შორის მომუშავე ინსტრუქტორი; ამჟამად კი ასეთი ინსტრუქტორი არის. ეხლა რამდენიმედ გაუმჯობესდა რედაქციის წერილობითი და ცოცხალი კავშირი მუშ-გლეხკორთა ადგილობრივ ორგანიზაციასთან და მათზე ხელმძღვანელობა შედარებით უკეთაა დაყენებული.

რათა შეცდომები არ იქნას დაშვებული, რედაქცია მნიშვნელოვან მუშაობას აწარმოებს ზოგიერთ კორესპონდენციის დაბეჭდვამდე შემოწმების დარგში. ეს მუშაობა ხდება როგორც თბილისში, ისე, შეძლებისდაგვარად, პროვინციებშიც. რედაქცია ამავე დროს ხშირად აგზავნის თავის წარმომადგენელს იმ კომისიაში, რომელსაც დაკისრებული აქვს გაზეთში მოთავსებულ წერილების შინაარსის შემოწმება. ამ გამოკვლევათა შედეგები ფრიად დამაკმაყოფილებელია: კორესპონდენციების სისწორე თითქმის 95 პროცენტით დასტურდება.

ბრძოლა მუშ-გლეხკორთა დევნასთან

მუშ-გლეხკორების დევნა უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა. თუ ერთი წლის წინად ის უმრავლეს შემთხვევაში ფარულად ხდებოდა, ახლა, ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ მუშ-გლეხკორთა აშკარა დევნასაც. მოვიყვანოთ მაგალითები: 1) შავი-ზღვის რკინის გზის ადგილკომის ტეხ. თანამშრომელი „კომუნისტი"-ს მუშკორი ნიკოლოზ შეროზია მოხსნილი იქნა სამსახურიდან, როგორც მუშკორი. რედაქციამ მიიღო საჭირო ზომები და ხსენებული ამხანაგი აღადგინეს სამუშაოზე. 2) რაჭის მაზრის სოფ. ონჭეიშში კულაკებმა განიზრახეს მუშკორ გობეჩიშვილის გადასახლება და მის შესახებ „ოქმიც" შეადგინეს, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლეს. შემდეგ იმავე სოფლის მცხოვრებმა შერაზადეიშვილმა განიზრახა ხანჯლით მოეკლა იგივე გობეჩიშვილი, რომელიც შემთხვევით გადარჩა. რედაქციამ მიიღო სათანადო ზომები გლეხკორ გობეჩიშვილის დასაცავად; 3) საყულელი გლეხი ვ. სვანიძე არ დაუშვა სამსახურში — მუხიანის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ბოქორიშვილმა, რადგან იგი იყო მუშკორი. რედაქცია აქაც გამოექომაგა მუშკორს; 4) ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნიდან მოხსნეს გლეხკორი დავით ბუნტური, რომელმაც საქმეში რედაქციის ჩარევის შემდეგ უკლებლივ მიიღო გაცდენილი თვეების ხელფასი და იგი ადგილზედაც იქნა აღდგენილი; 5) მუშკორ ვაჩეიშვილზე იარაღით თავდასხმისათვის, რომელიც მოახდინეს ბრეგვაძემ და ბახტაძემ 28 წ. 30 დეკემბერს, თბილისის მუშკორთა მოთხოვნით და „კომუნისტი"-ს ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა საჩვენებელი გასამართლება, სასამართლომ თავდამსხმელები (სათანადოდ დასაჯა; 6) 2 მარტს 29 წ. ბნელმა ძალებმა მოკლეს მუშკორი ამხ. აივაზოვი. აგრეთვე ჩვენ გვაქვს ცნობა ქობულეთის მაზრიდანაც მუშ-გლეხკორთა დევნის შესახებ.

მუშ-გლეხკორთა ყოველგვარ დევნის წინააღმდეგ რედაქცია იღებს გადამჭრელ ზომებს..

მუშკორთა დევნასთან ბრძოლაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პროკურატურას და სასამართლოს, ისინი ამ მოვალეობას საერთოდ ჯეროვნად ასრულებენ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო მუშკორთა მოძრაობას და მის დიდ როლს ვერ უღებს ალღოს. ზოგიერთ პირებს, რომელთა შესახებ შენიშვნაა დაწერილი მუშკორის მიერ, სასამართლოს ზოგიერთი ორგანო შეცდომაში შეჰყავთ და უკანასკნელნი იღებენ ისეთ საჩივრებს, რომლებიც არ უნდა ირჩეოდეს სასამართლოში, როგორც მაგ.: საჩივრის მიღება ფსევდონიმით ხელმოწერილ მუშკორზე. ამ გზით დაინტერესებულ პირთ სურს სასამართლოს საშუალებით მუშკორის ვინაობის გამოაშკარავება. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში შეუძლია მიმართოს გაზეთის რედაქციას, რომელიც პასუხისმგებელია მუშკორის შენიშვნის მოთავსებისათვის.

პარტიული ხელმძღვანელობა

მუშკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობა შედარებით კარგადაა დაყენებული ცენტრებში. მაგრამ რაც შეეხება პროვინციას, ეს საქმე იქ ძალზე მოისუსტებს: მუშკორებსა და კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობას ადგილობრივი პარტორგანიზაციები სახსვათაშორისო საკითხად სთვლიან.

ლიტერატურის საჭიროება

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ენებზე მუშკორთა მოძრაობის ლიტერატურის გამოცემას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ცენტრებში უფრო კარგად არის მუშ-გლეხკორთა მოძრაობა დაყენებული. ეს ნაწილობრივ უნდა მიეწეროს იმასაც, რომ შედარებით საკმაოდ იქ აქვთ ეს ლიტერატურა. სახელმძღვანელო ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე და კერძოდ ქართულ ენაზე ჯერჯერობით თითქმის არ მოგვეპოვება, გარდა ამხ. ბუხარინის და სხვა ბროშურების თარგმანის, რომელნიც გამოიცა რამოდენიმე წლის წინად. მუშ-გლეხკორთა სახელმძღვანელო ლიტერატურაზე საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ დღემდე მისი გამოშვების საკითხი უსახსრობის გამო მოუგვარებელია. „კომუნისტი"-ს რედაქციას აქვს შემუშავებული სათანადო გეგმა ლიტერატურის გამოსაცემად.

მუშ-გლეხკორთა წერილების მოთავსება

თუმცა მუშ-გლეხკორთა წერილებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა განყოფილებებში, როგორიც არის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი, მუშათა და პარტ. განყოფილებები, სხვადასხვა კამპანიები და სხვა, მაინც, შემოსულ წერილების სიმრავლის გამო, დაახლოვებით 60 პროც. დაუბეჭდავი რჩება. მაგრამ დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია როდი სტოვებს უყურადღებოდ. მათ, თუ ისინი ცოტად თუ ბევრად საგულისხმონი არიან, გზავნის სათანადო დაწესებულებებში ზომების მისაღებად, წერილების გადაგზავნის სისტემა უსათუოდ აღწევს მიზანს.

რედაქციის კავშირი მუშ-გლეხინთან

რედაქციას მუდმივი კავშირი აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და ყავს თავისი წარმომადგენელი საჩივართა ბიუროში, სხდომაზე დასასწრებლად და გამოკვლევებში მონაწილეობის მისაღებად.

ნიკო მკერვალი.

კედლის გაზეთების მდგომარეობა ჩვენში

კედლის გაზეთის როლი სოციალისტურ მშენებლობაში ფრიად დიდია, კედლის გაზეთის საშუალებით მუშათა ფართო მასა ებმება ჩვენი წარმოების გაუმჯობესება-გაჯანსაღების საქმეში და ხელს უწყობს წარმოებაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებას, საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებას და მუშათა გათვითცნობიერებას. კედლის გაზეთების ირგვლივ დარაზმულია რამდენიმე ათასი მუშა-კორესპონდენტი, რომელიც წარმოადგენს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მოწინავე ნაწილს. საერთოდ მუშკორთა მოძრაობა გასცილდა ვიწრო, კარჩაკეტილ ორგანიზაციულ ფორმებს. იგი გადაიქცა ნამდვილ მასიურ ორგანიზაციად. ამასთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით იზრდება საფაბრიკო-საქარხნო კედლის გაზეთების რიცხვიც.

ასევე გაუმჯობესდა და გაძლიერდა ადგილობრივი პარტუჯრედებისა და ნაბეჭდ გაზეთების ხელმძღვანელობაც კედლის გაზეთებზე. თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით, პარტიულმა ორგანოებმა და ნაბეჭდ გაზეთების რედაქციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კედლის გაზეთებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი გვაქვს, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს კედლის გაზეთების ნორმალურ მუშაობას და მუშკორთა მოძრაობის განვითარება-გაფართოებას.

ადგილობრივი პარტუჯრედები ჯერ კიდევ ვერ აფასებენ კედლის გაზეთის როლს სოციალისტურ მშენებლობაში, მუშათა გათვითცნობიერებაში და საერთოდ მასიურ მუშაობაში. ზოგიერთი უჯრედი კედლის გაზეთს არ უყურებს როგორც პარტიული ხაზის გამტარებელ ორგანოს. ხშირად მათი ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე უმთავრესად გამოიხატება: ადმინისტრატიულ ზეგავლენაში სარედაქციო კოლეგიებზე, წვრილ ოპეკაში, ცენზურის გაწევაში და სხვა ასეთ დაუშვებელ მოვლენებში. საერთო—სისტემატიურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კედლის გაზეთებს ზოგიერთი პარტუჯრედი არ უწევს, ძალიან იშვიათად არჩევს საკითხებს კედლის გაზეთის შესახებ და სრულებით არ აძლევს დარიგებებს სარედაქციო კოლეგიებს ამა თუ იმ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ასევე სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ კედლის გაზეთებს ნაბეჭდ გაზეთების რედაქციებიც. რედაქციების მუშაობა კედლის გაზეთების ხელმძღვანელობის დარგში, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია ე. წ. „თავის" მუშკორთა წრეს: ისინი უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იმ მუშა-კორესპონდენტებს, რომლებიც მათ გაზეთში სწერენ. მუშკორთა შორის მასიურ მუშაობას კი, კედლის გაზეთის ხაზით, ყურადღებას არ აქცევენ. რედაქციების ასეთი „მუშაობის" გამო, კედლის გაზეთების ირგვლივ დარაზმული მუშკორთა მრავალრიცხოვანი არმია მოკლებულია სწორ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას. ამ გარემოებას უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

რაც შეეხება პროფორგანიზაციების მუშაობას კედლის გაზეთებზე ხელმძღვანელობის მხრივ, უნდა ითქვას, რომ იგი სავსებით სუსტია. 1927 წლის 5 ივლისს, საკავშირო პროფსაბჭო თავის სადირექტივო წერილში მოუწოდებდა ადგილობრივ პროფორგანოებს, რათა ყოველგვარი დახმარება გაეწიათ კედლის გაზეთებისათვის და წარმოება-დაწესებულებაში შეექმნათ ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველჰყოფდნენ თავისუფალ კრიტიკას კედლის გაზეთში. ეს დირექტივა არამც თუ გატარებულია ცხოვრებაში, არამედ ბევრ ადგილას პროფორგანოებმა არც კი იციან რაიმე ამ დირექტივის არსებობის შესახებ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კედლის გაზეთების მუშაობა ადგილებზე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. კედლის გაზეთებს არავითარი კავშირი, არც ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და არც ნაბეჭდ გაზეთების რედაქციასთან, არა აქვთ. ხშირად სარედაქციო კოლეგიების წევრები შეგნებულად გაურბიან ადმინისტრაციასთან კავშირს იმ მოსაზრებით, რომ ადმინისტრაცია სდევნის მუშკორებს და კედლის გაზეთებს. ადმინისტრაციაც თავის მხრივ მუშკორთა მუშაობას და კედლის გაზეთს სთვლის წარმოებისათვის მავნე მოვლენათ. რასაკვირველია არც ერთი და არც მეორე შეხედულება არ არის სწორი.

კედლის გაზეთების მუშაობის გასაუმჯობესებლად და წარმოების გასაჯანსაღებლად აუცილებლად საჭიროა ნორმალური და საქმიანი ურთიერთობის დამყარება ადმინისტრაციასთან და ტეხნიკურ პერსონალთან. როგორც სარედაქციო კოლეგია, ისე ადმინისტრაციაც, დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ისინი—ორივენი მოწოდებული არიან ერთი და იმავე საქმისათვის. მათ შორის მჭიდრო კავშირის გარეშე, შეუძლებელია წარმოებაში შრომის პირობების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ წარმოების რაციონალიზაცია. კედლის გაზეთი ერთი მთავარი საშუალებათაგანია თვით ადმინისტრაციის და წარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ადმინისტრაცია, არამც თუ მარტო პასუხებს უნდა აძლევდეს სარედაქციო კოლეგიას კედლის გაზეთში მოთავსებულ ამა თუ იმ შენიშვნაზე, არამედ ის ერთი აქტიური თანამშრომელთაგანი უნდა იყოს კედლის გაზეთისა. უნდა აშუქებდეს კედლის გაზეთში წარმოების მტკივნეულ საკითხებს. ასეთი ურთიერთობა ადმინისტრაციასა და კედლის გაზეთებ შორის ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მომავალში ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

გარდა ამისა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები ერთობ კარჩაკეტილ მუშაობას აწარმოებენ. მათი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის მასიური. მუშათა და მუშკორთა ფართო მასები არ არიან ჩაბმული კედლის გაზეთის საქმიანობაში. კედლის გაზეთი ერთი მთავარ საშუალებათაგანია მუშათა ფართო მასების ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში და მუშათა კულტურის დონის ასამაღლებლად. მაგრამ კედლის გაზეთები ამ მნიშვნელობას ჯერ კიდევ სუსტად ასრულებენ; არ ეწყობა მკითხველთა და მუშკორთა გაერთიანებული კრებები, საგიტაციო-საჩვენებელი გასამართლებები, წარმოების დათვალიერება, კონკურსები საუკეთესო მწარმოებელზე და სხვ. ეს ერთის მხრივ აიხსნება იმითაც, რომ ზოგიერთი ძველი მუშკორები გაურბიან კედლის გაზეთებში მუშაობას. ისინი არავითარ მონაწილეობას კედლის გაზეთის საქმიანობაში არ ღებულობენ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება მასიური მუშაობის ფართოდ გაშლა.

სუსტ მონაწილეობას ღებულობენ კედლის გაზეთის მუშაობაში მუშა-ქალები. ბევრ ადგილას არც ერთი ქალი სარედაქციო კოლეგიაში არ არის გაყვანილი. ისეთ წარმოებებშიაც კი, სადაც მუშათა უმრავლესობა ქალებისაგან შესდგება (თამბაქოს ტრესტის ფაბრიკები), სარედაქციო კოლეგიებში უმთავრესად მამაკაცები არიან.

ბეჭდვითი სიტყვის დღის, როდესაც ვათვალიერებთ ჩვენ განვლილ მუშაობას, ჯავრი უნდა გავუკეთოთ შემჩნეულ ნაკლს და წარსულ მუშაობაში დაშვებულ შეცდომების გაკვეთილზე ავაგოთ მომავალი მუშაობა, გავაცხოველოთ კედლის გაზეთების საქმიანობა და ჩავაბათ მასში მუშათა ფართო მასები. მხოლოდ მუშათა ფართო მასების მონაწილეობით და სწორი პარტიული ხელმძღვანელობით შევძლებთ კედლის გაზეთი გადავაქციოთ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებების გამტარებელ ორგანოთ და გავაჯანსაღოთ ჩვენი წარმოება.

ვ. ნანუაშვილი.

გამომცემლობათა შესახებ

ჩვენი ქვეყნის საერთო აღორძინებისა და კულტურული განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი — ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციაა, რომელიც იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე ფრიად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. განსაკუთრებით დიდია მისი როლი დღევანდელ მომენტში, როცა მშრომელთა ფართო მასები აქტიურად ებმებიან კულტურული რევოლიუციის პროცესში და მათ შემოქმედებით ძალებს ფართო გასაქანი ეძლევა. ამიტომ ბეჭდვითი სიტყვის დღეს შევეხოთ მოკლეთ საგამომცემლო საქმის მდგომარეობას ჩვენში.

უდავოა ის ფაქტი, რომ საგამომცემლო საქმეს მკვიდრი საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა. თუ წინად, მენშევიკების ბატონობის დროს, ჩვენი ქვეყანა უდიდეს კულტურულ დაცემულობას განიცდიდა და კერძოთ გამომცემლობის საქმეც უაღრესად ანარქიულ და პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ფართო გზა გაეხსნა ჯანსაღ ნაციონალურ კულტურის განვითარებას; სწრაფად გაიზარდა ბეჭდვითი სიტყვის პროდუქცია, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. მთავარი, რაც აღსანიშნავია, ეს არის ის, რომ მკაფიოდ გამოიკვეთა ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციის სოციალური დანიშნულება: მთელი ლიტერატურის ძირითადი მასა მუშა და გლეხ მკითხველზეა გათვალისწინებული, თანდათანობით იზრდება მასიური ლიტერატურისა და ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე წიგნების გამოცემა და საგამომცემლო საქმე გეგმიან და სისტემატიურ ხასიათს იღებს. ჩვენი გამომცემლობა უკვე მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისა და მშრომელთა კულტურული დონის აწევის საქმეში. გამომცემლობათა შორის ყველაზე უფრო ძლიერი გამომცემლობა საქართველოში — სახელგამია, რომლის პროდუქცია დღითი დღე იზრდება. 1921 წლიდან დაწყებული 1928 წლამდე, სახელგამის მიერ სულ გამოცემულია 1,170 სახელწოდებაზე მეტი ლიტერატურა, დაახლოებით 6 მილიონი ტირაჟით. ეს რაც შეეხება სახელგამის საერთო პროდუქციას.

სხვადასხვა სახეობათა ლიტერატურას შორის სახელგამის პროდუქციაში განსაკუთრებული ადგილი სახელმძღვანელოებს უჭირავს. ჩვენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელგამს მრავალი სახელმძღვანელო აქვს გამოცემული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ისეთი სახელმძღვანელოებიც კი იცემოდა, რომელთაც მხოლოდ მავნებლობა თუ შეეძლო მოეტანა ჩვენი სკოლებისათვის. რა თქმა უნდა ამაში ბრალი მიუძღოდა განსახკომის მეთოდბიუროს, რომელიც მოწოდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს და მოაწესრიგოს სახელმძღვანელოთა გამოცემის საქმე. მცირე ადგილი ეჭირა აგრეთვე სახელგამის პროდუქციაში მასიურ ლიტერატურისა და ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე სათანადო ლიტერატურის გამოცემას. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში ეს ნაკლი გამოსწორებულია. ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივით, როგორც მასიურ, ისე ნაციონალურ უმცირესობისათვის შესაფერი ლიტერატურის გამოცემის პროცენტი 1929 წლის საგამომცემლო გეგმაში საკმაოთ გადიდებულია.

ჩვენ გამომცემლობათა გადაუდებელ ამოცანას შეადგენს პოპულიარული წიგნების მიწოდება მუშისა და გლეხისათვის, მისთვის ხელმისაწვდომ პირობებში. წიგნის ბაზარზე გადმოსროლილი უნდა იქნეს ისეთი ლიტერატურა, რომელიც მასიურად იქნება გამოყენებული, ასწევს მშრომელი მასების მომზადების დონეს, გაურკვევს მათ მთელ რიგ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს და შეიყვანს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკის კურსში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელ რიგ სპეციალურ დარგებში, როგორც მაგ. აგრონომია და სხვა ტეხნიკური ხასიათის ლიტერატურის გამოცემას ეძლევა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული, სახელგამის მიერ მარქსისტული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის მხრივ. მზადდება დასაბეჭდად კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი. ჩვენს სინამდვილეში ეს უეჭველად დიდი მოვლენაა. ჩვენს მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს ქართულ ენაზე საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი თეორეტიკოსის გენიალურ ქმნილებას. სახელგამი სცემს ლენინის თხზულებათა სრულ კრებულს, რომლის პირველი ტომი ამ დღეებში გამოვა. ყოველივე ეს გაძლიერებული კულტურული მშენებლობის მაჩვენებელია.

ჩვენმა საგამომცემლო ორგანოებმა საკმაოთ დიდი როლი ითამაშეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ლოზუნგების პოპულიარიზაციის საქმეში, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე და კამპანიებზე სხვადასხვა ბროშიურებისა და წიგნაკების გამოცემით. ჩვენმა პრესამ წიგნებისა და ჟურნალების ხაზით, აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს კომუნისტური პარტია ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ ლენინურ ხაზიდან. სულ ოპოზიციისა და მემარჯვენე გადახრის შესახებ გამოცემულია 19 სახელწ. წიგნი. რა თქმა უნდა ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ჩვენმა საგამომცემლო ორგანოებმა ამ მხრივ კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი მუშაობა და სათანადო ლიტერატურის გამოცემით ხელი შეუწყონ პარტიის ამოცანებისა და საბჭოთა ხელისუფლების განვითარების გენერალური ხაზის შეთვისებას მშრომელთა ფართო მასების მიერ. როგორც ჩვენი საგამომცემლო ორგანოების ძირითად დეფექტს, აღვნიშნავთ წიგნების სუსტ გავრცელებას. ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული. ხშირად წიგნი ვერ აღწევს მასიურ მკითხველთან. ერთის მხრივ ამის მიზეზია გამავრცელებელი ქსელის სისუსტე და მეორეს მხრივ, რაც მთავარია, კოოპერაციის უყურადღებობა და უმოქმედობა. დღემდე კოოპერაცია თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს წიგნების სოფლად გავრცელების საქმეში. მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს გარკვეული დირექტივა ამის შესახებ და სახელგამსა და ცეკავშირს შორის ხელშეკრულებაც კი არის დადებული, რეალურად ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა. წიგნის სოფლად გავრცელების მოგვარება, სწორედ ამ კოოპერატიული ქსელის მეოხებითაა შესაძლებელი. ამისათვის ვფიქრობთ, რომ დროა ცეკავშირი უფრო სერიოზულად მოეპყრას ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს და დასძრას გაყინულ წერტილიდან სოფლად წიგნის გავრცელება.

გამომცემლობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი გვინდა დავაყენოთ, ეს „კლასიკოსების" გამოცემის საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კლასიკოსების" გამოცემა მთლიანად უნდა გადავიდეს სახელმწიფო გამომცემლობის ხელში. ჩვენში „კლასიკოსებს" უმთავრესად გამომც. „ქართული წიგნი" სცემს. მათ გამოცემებს ზოგ შემთხვევაში არავითარი კომენტარიები არა აქვს წარმძღვარებული, თვით მასალაც არ არის სათანადოდ შერჩეული. მაგრამ, თუ კი რაიმე წინასიტყვაობა რომელიმე „კლასიკოსის" გამოცემას თანდართული აქვს, იგი სრულიად ვერ იძლევა მის სწორ შეფასებას. ჩვენ კი გვჭირდება „კლასიკოსების" ისეთი გამოცემა, რომელსაც თანდართული ექნება მათი შემოქმედების ანალიზი მარქსისტული თვალსაზრისით. ამიტომ დროა დავაყენოთ საკითხი „კლასიკოსების" გამოცემის მთლიანად გადაცემის შესახებ სახელმწიფო გამომცემლობისათვის.

მთავარი ხაზი მასიური ლიტერატურის გამოცემაზე, აყენებს წიგნების გაიაფების საკითხს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით მიგვეღწია იმ დონემდე, რომ მასიური მკითხველისათვის მიგვეწოდებინა იაფ-ფასიანი ლიტერატურა. მართალია სახელგამმა ამ მხრივ გადასდგა პირველი ნაბიჯი, გახსნა ახალი მაღაზია „საბჭოთა ბუკინისტი", სადაც დაკლებულ ფასებში იყიდება წიგნები, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი. საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა იმისათვის, რომ ჩვენმა საგამომცემლო ორგანოებმა ისე ააწყონ თავიანთი მუშაობა, რომ წიგნი იაფი დაჯდეს და ამით მისცენ მშრომელთ მათი შეძენის საშუალება.

დანარჩენ გამომცემლობათა შორის აუცილებლად საჭიროა აღინიშნოს პროფესიონალური გამომცემლობის „შრომა"-ს მუშაობა. გამომც. „შრომა" უმთავრესად პროფესიონალურ და ტეხნიკური ხასიათის ლიტერატურას სცემს. „შრომა"-ს მიერ 1926 წ. გამოცემულია 44 სახელწ. წიგნი — 103.500 ეკზ. 1927 წ. 52 სახელწ.—168.800 ეკზ. და 1923 წ. 30 სახელწ.—70.000 ეკზ. როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, გამომცემლობა „შრომა" საკმაო მასშტაბით ავითარებს თავის მუშაობას. თავისი მოღვაწეობით „შრომა" დიდ დახმარებას უწევს პროფესიონალურ მასას, მით უმეტეს, რომ წმინდა ტეხნიკურ საკითხებზე ჩვენში ძლიერ მცირე ლიტერატურა არსებობს.

საგამომცემლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი „ქართულ წიგნს" უჭირავს, რომელიც უმთავრესად „კლასიკოსებსა" და მხატვრულ ლიტერატურას სცემს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, გამომცემლობას ჩვენში ფართო პერსპექტივები ეშლება. ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად, იზრდება მასების კულტურული მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ჩვენი საგამომცემლო ორგანოები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ მტკიცედ და ენერგიულად განახორციელებენ იმ ამოცანებს, რომელთაც მათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უსახავს.

დ. დემეტრაძე.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვა

ის მუდამ გაბედულია,
ვით გასროლილი შურდული,
იგი სინათლის გულია,
ყველა სიბნელის ურდული!
არც ჩლუნგი და არც განხრილი,
ბასრი, მზის სხივზეც ცხოველი,
ვით ამოწვდილი მახვილი,
მუშათა სიმხნის მთოველი...
ვით დარტყმა მძიმე ჩაქუჩის
ან ვით ქვეშ — გრდემლის წკრიალი,
ძალთა ზღვად შემონაქუჩის,
შემოქმედ მკლავის ტრიალი..
ვით მისი ოფლის წვეთება,
ჟანგის და მურის ლესითა,
მტერზე უკმეხი კვეთება,
მისი თავ-პირქვე ქლესითა...
ბრძოლის ველს მწვევი საყვირი,
ბან-მოძახილი დაფითა,
უდრეკი და გასაკვირი
წინ ტევით თუ სისწრაფითა!..
მძიმეც, ვით ჯავშნის გაწევა
თუ მისი რკალვა რგოლებათ,
შრომის მძლეოზეც გაწევა,
შემოქმედების ზოლებათ.
ცის გადახევაც, ცის თალის
აზრ-გრძნობის აშადრევნებათ,
ჩენა უსაზღვრო სილალის
თუ დასხმა სხივთა მტევნებათ,
და სივრცის აჩუქურთმება
ჯერედ უნახავ ხაზებათ,
თვით მზეც რომ დაიფუთნება
სიცოცხლის გალამაზებათ!..
აი, მუშათა საქმის და
სიტყვის ერთობის ფერები,
იმ თავით გულს რომ გამიჯდა
და ვყვავარ ანადლრები...
ვმღერი და გულშიც მზესავით
მატყვია მისი ბეჭედი!
მარგებს ის დედის რძესავით,
თორემ თქვენც დაგაქებდით...
და მოდის წლით წლივ ექსტაზით
ხუთიდან — ხუთსავ მაისსა!..
წელს იყვეს ლექსთა ეს „თასი",
დანარჩენს გეტყვით გაისსა!..

ნ. ზომლეთელი.

ცეკავშირი არ ჩქარობს

(წიგნის გავრცელების ორგანიზაციის გარშემო)

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით კოოპერაციას დაევალა სოფლად წიგნით ვაჭრობა - გავრცელების საქმის მოწესრიგება. „ცენტროსოიუზი"-ს დავალებით ა. კ. კოოპერატივთა კავშირმა წინადადება მისცა სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს კოოპერატივთა კავშირებს დასდონ სათანადო ხელშეკრულებები წიგნის გამომცემლობებთან და დაუყოვნებლივ შეუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას. ამ მიზნით მან დაგზავნა „ცენტროსოიუზი"-ს მიერ მიღებული ხელშეკრულების პროექტი. მიუხედავად ამისა პრაქტიკულად ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა. განსაკუთრებით გასაკვირია ამ მხრივ ცეკავშირის მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ მას ყველაზე უფრო მეტი შესაძლებლობანი აქვს ამ საქმისათვის, ის ყველაზე უფრო გულგრილობას იჩენს და არ ჩქარობს დაამთავროს „საორგანიზაციო მუშაობა", თუმცა ამისთვის საკმაო დრომ განვლო. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ცეკავშირსა და სახელგამს შორის მოლაპარაკება დაიწყო ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში. ეს მოლაპარაკება „სწარმოებდა" ა.-წლის მარტამდე. მარტში ცეკავშირმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას სახელგამთან. მას შემდეგ გავიდა უკვე ორი-სამი თვე და ცეკავშირი მაინც სდუმს, არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები, თუნდაც უბრალო თაროს გახსნის სახით, მათ მიერ გადადგმული არაა. ნუ თუ ასე სრულდება ხელისუფლების დირექტივები?! საჭიროა ცეკავშირმა მოგვცეს პასუხი, როდის ფიქრობს ის ამ საქმის დაწყებას?

დ—ი.

სახელგამი ბეჭდვითი სიტყვის დღეებში

ბეჭდვითი სიტყვის დღეებში სახელგამის მთელი ყურადღება მიმართულია ლიტერატურის რაც შეიძლება ფართო მასისათვის მიწოდებისაკენ. ამ მიზნით მან ერთის მხრივ გაიაფა ლიტერატურა, ხოლო მეორეს მხრივ გააფართოვა თავისი სავაჭრო ქსელი, როგორც თბილისში, აგრეთვე პროვინციაში. დღეიდან პირველ ივნისამდე სახელგამის ყველა მაღაზიები აწარმოებს ვაჭრობას, როგორც მაღაზიებში, აგრეთვე მაღაზიის გარეთ—ქუჩებში. თბილისში სახელგამი აწყობს საგანგებო კიოსკებს ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში, რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და სკოლებში. წიგნის გაიაფება-გავრცელების მიზნითვე მოაწყო სახელგამმა მომგებიანი ლატარეია და წიგნის ტირი. ტირი გაიმართება იმავე ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში, მხოლოდ ლატარეია კი, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში, პროვინციაში ახლო მდებარე სოფლებისათვის საგანგებოდ არის მოწყობილი საბარგო ავტომობილი სოფლისათვის საჭირო გაიაფებულ წიგნებით და ლატარეით. პროვინციის მაღაზიებს დავალებული აქვთ მოაწყონ ასეთივე მოძრავი კიოსკები ახლო მდებარე სოფლებში დასაგზავნად ურმებზე, აღნიშნულ სახელგამის მაღაზიებში და კიოსკებში 10—50 პროც. ფასდაკლებით. გაიაფებულ წიგნების მაღაზიაში, — „საბჭოთა ბუკინისტ"-ში (სადაც წიგნები ფასდაკლებულია 20—80 პროც.-მდე) გადაფასებული წიგნები გაიყიდება 10 პროც. დამატებით ფასდაკლებით.

სახელგამს გადაწყვეტილი აქვს მომავალში (პირველ ივნისამდე) წიგნით ვაჭრობა კიდევ უფრო გააფერადოს სხვადასხვა დარგის ლიტერატურის კამპანიების ჩატარებით. ამ მიზნით მომავალ კვირისათვის მას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს საბავშო წიგნის დღე სკოლების და პიონერ ორგანიზაციების მონაწილეობით. გაიმართება ბავშთა დემონსტრაციები ლოზუნგებით წიგნის მნიშვნელობის და ანტირელიგიური პროპაგანდის შინაარსით. დემონსტრაციის დროს გადაღებული იქნება კინო - სურათები. სახელგამის ყველა მაღაზიები წიგნის ბაზრობის დღეებში იმუშავებენ კვირა-უქმე (5—6 და სხვა დღეებშიაც.) მაღაზიები ივაჭრებენ დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე, კიოსკები კი — დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

სად რამდენი ვრცელდება „კომუნისტი"—საქართველოში

(1929 წლ. 30 აპრილის ტირაჟი)

ახალქალაქის მაზრაში 22 ცალი; სვანეთში 63; სამხრეთ - ოსეთში 79; ახალციხის მაზრაში 107; აფხაზეთში 241; რაჭა-ლეჩხუმში 320; ზუგდიდის მაზრაში 636; კახეთის მაზრაში 1.246; ოზურგეთის მაზრაში 1.561; სენაკის მაზრაში 1816; აჭარისტანში 1845; გორის მაზრაში 2,389; შორაპნის მაზრაში 3469; ქუთაისის მაზრაში 6.850; თბილისის მაზრაში — 17,220.



„კომუნისტი"-ს ტირაჟის ზრდა
უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში
(1928 წ. 1 მაისიდან 1929 წ. 1 მაისამდე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

„ნიშანსვეტი“-ს 5 წლის თავი

როგორ ვმუშაობდით

„ნიშანსვეტი“-ს მუშკორთა ერთი ჯგუფი

1924 წელს, როცა „ნიშანსვეტი“ „ცეცხლის იარაღი“-ს სახელწოდებით გამოდიოდა, მასში მხოლოდ 5-6 მუშკორი ღებულობდა მონაწილეობას. გაზეთი შინაარსით და მხატვრობით სუსტი იყო. მოიკოჭლებდა მუშკორთა შორის მუშაობაც.

გავიდა დრო... მასებმა შეითვისეს კედლის გაზეთის მნიშვნელობა და „ნიშანსვეტი“-ს ირგვლივ შემოიკრიბა 100-მდე მუშკორი; რედკოლეგიამ ჩაატარა ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშა-მოსამსახურეებში, დაუახლოვა მასები კედლის გაზეთს და ყოველ ორკვირაში დაიწყო გაზეთის გამოცემა.

გაძლიერდა მასიური მუშაობა, ეწყობოდა მუშკორთა და მუშა- მოსამსახურეთა საერთო კრებები, მოეწყო მუშკორთა ექსკურსიები და ამ გვარად ფართოდ გაიშალა მუშკორთა შორის მუშაობა. არ ჩატარებულა ისეთი პოლიტიკური კამპანია, რომელშიაც ჩვენ გაზეთს არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა.

მუშკორთა საქმიან თვითკრიტიკის „მსხვერპლი“ შეიქნა ადმინისტრატორი ნ. არაბიძე და კონტროლიორი ქიმერიძე. გაზეთმა გამოაშკარავა „წვრილ - ფეხა“ ბიუროკრატები, მუშების აბუჩად ამგდებნი; მუშკორებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე ლოთობის წინააღმდეგ. ამის შედეგათ მივიღეთ ის, რომ განმტკიცდა შრომის დისციპლინა და სავსებით მოისპო სამუშაო დღეების გაცდენის შემთხვევები.

იყო მუშკორის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრების შემთხვევა. ადგილი ჰქონდა მუქარას ხანჯლით და რევოლვერით, მაგრამ ბასრი კალმის წინააღმდეგ, ფოლადის იარაღი უძლური აღმოჩნდა. ადგილობრივ ორგანიზაციებმა იდეოლოგიური ბრძოლით, მუშკორთა მდევნელები დაამშვიდა. მათ შეაგნებიეს, რომ მუშკორთა აშკარა და ფარული მდევნელი სასტიკად დაისჯებიან.

1927 წლიდან სამედიატორო სასამართლო მოეწყო 3-ჯერ, სადაც მუშკორებმა დაამტკიცეს ზოგიერთ პირების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება. მაგრამ მუშაობის ასეთი ფორმა რედკოლეგიამ შესცვალა, რადგან ეს მუშკორებზე ეჭვის მიტანას და დევნას უფრო იწვევდა, ვიდრე საქმიან მუშაობას.

პირველ ხანებში ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდა გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს. ამჟამად დეფექტები გამოსწორებულია. „ნიშანსვეტში“ თავსდებოდა მოკლე და გასაგები ენით დაწერილი წერილები წარმოების საჭირბოროტო საკითხებზე.

1927 წლიდან დღემდე, „ნიშანსვეტ“-ში მოთავსდა 1336 კორესპონდენცია. აქედან: საერთო ხასიათის, რომელიც დაკავშირებული იყო წარმოებასთან — 44. წარმოების და მუშათა ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე — 581, წარმოების რაციონალიზაციის შესახებ — 51. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ — 60. პარტიულ ცხოვრებიდან —67. დისციპლინის დარღვევის შესახებ — 74. პროფ. და კულტმუშაობის ირგვლივ — 33, ლოთობაზე —54, სხვადასხვა საკითხებზე — 379. გარდა ამისა გაზეთში მოთავსებული იყო 139 კარიკატურა. ეს ცნობები ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი მუშკორები ცხოვრების ყველა მახინჯ მოვლენებს ებრძვიან და ხელს უწყობენ პარტიის და ხელისუფლების მიერ წამოყენებულ ლოზუნგების რეალიზაციას.

გაზეთის მუშაობას აქვს დეფექტები: საჭიროა მუშკორთა შორის მუშაობის გაცხოველება. გაზეთის მუშაობაში ფართო მასების ჩაბმა, პარტიული ცხოვრების განყოფილების გაფართოება, პარტუჯრედის მიერ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, მკითხველთა და მუშკორთა კრებების მოწვევა და სხვა.

ჩვენი გაზეთი და მისი მუშკორები ამ ნაკლს გამოასწორებენ და შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას დღეს ჩვენს წინაშე.

„ნიშანსვეტი“-ს სარედაქციო კოლეგია.

ჩვენი მორიგი ამოცანა

5 წლის განმავლობაში ჩვენ თავს არ ვზოგავთ „ნიშანსვეტი“-ს გაუმჯობესებისათვის. „ნიშანსვეტი“-ს ირგვლივ შემოკრებილია ისეთი კადრი მუშკორებისა, რომლებიც რამოდენიმე წლობით თანამშრომლობენ პერიოდიულ პრესაში. ისინი კარგათ არიან გაცნობილი მუშკორთა მოძრაობის ყველა საკითხებს და სწორეთ ამიტომაა, რომ ჩვენი გაზეთი მასისათვის საყვარელი და პოპულიარული შეიქნა.

5 წლის მანძილზე ჩვენ ბევრი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამჟამად, კულტურული რევოლიუციის ხანაში, ეს აღარ გვაკმაყოფილებს. ჩვენი მუშაობა ფართო მასაში უნდა გადავიტანოთ, როგორც ეს საქართველოს მუშკორებთა პირველ თათბირმა გვიკარნახა. უნდა გავაუმჯობესოთ გაზეთის შინაარსი. ამისათვის კი საჭიროა ხელის შემწყობი პირობები.

ჩვენი მომავალი მუშაობის მთავარ ამოცანად უნდა დავისახოთ, რათა „ნიშანსვეტი“ გამოიცეს ნაბეჭდ გაზეთად. ამის მიღწევა არც ისე ძნელია, თუ უნარიანობას და ამ საქმისადმი ინტერესს გამოვიჩენთ.

„ნიშანსვეტი“ ემსახურება ორი დარგის 1.700-მდე მუშა - მოსამსახურეს (სადგური და მოძრაობის დარგი). ორი დარგის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კი მისი გამოცემა არ გაუძნელდება მით უმეტეს, თუ ამ საქმეში საუბნო კომიტეტიც დაგვეხმარება. საზოგადოებრივი აზრი „ნიშანსვეტი“-ს ნაბეჭდ გაზეთზე გადასვლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. „ნიშანსვეტი“-ს მკითხველები აღფრთოვანებული იქნებიან, თუ ამ უდიდეს საქმის გაკეთებაში სათანადო ორგანიზაციები დაგვეხმარებიან. საამისოთ მომზადებული ძალები საკმაოა, მხოლოდ საჭიროა ინიციატივა, რომ ეს დიდი ამოცანა გადავჭრათ.

ჩვენ მოუწოდებთ ადგილობრივ ორგანიზაციებს და თბილისის საუბნო კომიტეტს, რომ ეს საკითხი შეისწავლონ და „ნიშანსვეტი“-ს 5 წლის ზეიმი კიდევ ერთი დიდი გამარჯვებით, გაზეთის ნაბეჭდ ორგანოთ გამოცემით — აღნიშნონ.

სიტყვა საუბკომს და ადგილობრივ ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ი. ჯავახიშვილი, გოგიბერიძე და ნაზარბეგოვი.

პოლიგრაფწარმოების მტკივნეული ადგილები

(წინადადების წესით)

დღეს ბეჭდვითი სიტყვის დღეა, და ღირს ორიოდე სიტყვის თქმა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენში პოლიგრაფიული წარმოება: რა მიღწევები აქვს მას, ან რა ტკივილები აწუხებს, რომელთა განკურნება დღის წესრიგში სდგას ამ ახლო მომავლისათვის.

გავიხსენოთ 24—25 წლები. რას წარმოადგენდა მაშინ ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვითი ტექნიკა ჩვენში? გაცვეთილი შრიფტი, ძველი მბეჭდავი მანქანები. გაზეთები ხშირად, განსაკუთრებით პროვინციაში, ხელის მომწერლებს მესამე - მეოთხე დღეს მისდიოდათ და ისიც ცუდად, ნახევრად გაუგებრად დაბეჭდილი. არ გვქონდა ქართული ამწყობი მანქანები (ლინოტიპები), არ გვქონდა მსწრაფლ - მბეჭდავი როტაციული მანქანები და მკითხველთა ცოტა რიცხვსაც ვერ ვაკმაყოფილებდით ხეირიანად.

ამ მხრით დღეს ჩვენში საქმე მოგვარებულია. ჩვენი მსწრაფლ - მბეჭდავი მანქანები და ლინოტიპები არა თუ სავსებით აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნილებას, პირიქით— ამ მანქანებს შეუძლიათ ორჯერ მეტი მოთხოვნილების შესრულება, ვინემ დღეს მათ აქვთ დაკისრებული.

მაგრამ ამ დადებით მოვლენასთან ერთად პოლიგრაფიულ წარმოებას აქვს დიდი ნაკლი, რომლის გამოსწორება აუცილებელია. ამ ნაკლთა შორის უნდა აღინიშნოს ცუდი პროდუქცია, სტამბებში უსისტემოთ, უთავბოლოთ მუშაობა, არა-ჯანსაღი კონკურენცია ერთმანეთს შორის, პოლიგრაფტრესტის სტამბებთან ერთად არსებობა საუწყებო წვრილ სტამბებისა და სხვადასხვა.

საჭიროა კარგი პროდუქცია

არა ერთხელ დაწერილა იმის შესახებ, რომ ჩვენს სინამდვილეში ხშირად ძალიან ცუდი ღირსების ბეჭდვითი პროდუქციასთან გვაქვს საქმე; რომ საჭიროა ამ საქმეს მიექცეს სერიოზული ყურადღება მბეჭდავთა კავშირის, პოლიგრაფტრესტის და სახელგამის მიერ. იყო მითითებები პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელთა მიღება ნაწილობრივ მაინც გამოასწორებდა ამ საქმეს. მაგრამ მისი დაძვრა მკვდარ წერტილიდან არ მოხერხდა; არც არავინ იბერტყავს ამაზე ჯერჯერობით ყურს.

გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს პროფტექნიკურ კურსების დაარსება, რომელიც დიდის დაგვიანებით გაიხსნა თებერვლის შუა რიცხვებში და დამთავრდება მაისში. მაგრამ მისი დაარსებიდან დღემდე ამ კურსებს არ ექცევა სათანადო ყურადღება: ამ ხნის განმავლობაში არც მბეჭდავთა კავშირიდან, არც პოლიგრაფტრესტიდან და არც სახელგამიდან არავინ დაინტერესებულა კურსებზე მეცადინეობის მსვლელობით. პირიქით: კურსების პედაგოგიურმა პერსონალმა მსმენელების წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა: ეთხოვოს კავშირს და პოლიგრაფტრესტს მოიწვიონ ყველა სტამბების გამგეების და საერთოდ ტექნიკურ პერსონალის თათბირი, რომელიც ჩამოიმუშავებდა ზომებს კურსებსა და წარმოებებს შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. ეს იყო მარტის პირველ რიცხვებში და დღემდე არაფერი ისმის. ეს სამი დიდი დაწესებულება, რომელთაც ეკითხებათ პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების საქმე — მბეჭდავთა კავშირი, პოლიგრაფტრესტი და სახელგამი — დიდ უმოძრაობას იჩენენ ამ საქმეში.

საჭიროა კი მეტი ყურადღება ამ საქმისადმი. დღევანდელი მკითხველი თხოულობს უკეთეს ღირსების ბეჭდვით პროდუქციას და თუ აქამდი ვერ შევძელით მისი დაკმაყოფილება, დღეს ეს საქმე აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ. სიტყვა მბეჭდავთა კავშირზე, პოლიგრაფტრესტზე და სახელგამზეა.

უსისტემობას და უთავბოლობას ბოლო უნდა მოეღოს

ყველა სტამბაში დღეს მუშაობის თავისი სისტემა აქვთ. ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არ არსებობს ერთი წესი მუშაობის, არ არის ერთი სისტემა. ეს გარემოება კი ჰქმნის მუშებში არევ-დარევას, მუშაობაში —უთავბოლობას. ავიღოთ მაგალითი: ზოგ სტამბაში არის ნარდი მუშაობა, ზოგან გადამუშავების სისტემა, ზოგან კიდევ დატვირთვის სისტემა და სხვა.

ყველა სტამბაში ერთნაირად არ სწარმოებს მუშაობის აღრიცხვა. თვით პოლიგრაფტრესტის სტამბებშიაც კი აქვს ადგილი ნამუშევარის სხვადასხვაგვარ შეფასებას. ზოგ სტამბაში მუშას კარგი ღირსების ნამუშევარს სთხოვენ, ზოგან ამას ყურადღებას არ აქცევენ. სტამბებში უფროსი ოსტატების შერჩევა ვერ არის დაყენებული სათანადო ნიადაგზე. ასევე ითქმის სტამბების გამგეებზე და მათ თანაშემწეებზე. ხშირად ამ უკანასკნელებს თვით არ ესმით რა არის კარგი და რა არის ცუდი პროდუქცია და მხოლოდ იმას სცდილობენ, როგორმე ცუდათ შესრულებული საქმე დამკვეთს მიაჩეჩონ, რითაც უხეშად არღვევენ მკითხველის ინტერესებს.

არც პოლიგრაფტრესტს, არც სახელგამს არ ყავთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მომზადებულ, კვალიფიციურ კორექტორების კადრი, რაც უეჭველად უარყოფით როლს თამაშობს მკითხველისადმი კარგი ღირსების პროდუქციის მიწოდების საქმეში. კორექტურას, უმეტეს შემთხვევაში, კითხულობს შემთხვევითი, ლიტერატურისა და პოლიტიკის მცირე მცოდნე, ბეჭდვის საქმესთან გაუცნობელი ელემენტები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ არანორმალურ პირობებთან ერთად, ამთავრებენ იმ ცუდ სურათს, რომელსაც ეწოდება ბეჭდვითი ნაწარმოების ცუდი პროდუქცია.

არა - ჯანსაღი კონკურენცია

გასული წლის ოქტომბერში შემდგარ სრულიად საქართველოს მბეჭდავთა ყრილობაზე პოლიგრაფტრესტის დირექტორმა გააკეთა მოხსენება პოლიგრაფიულ წარმოების მდგომარეობისა და მისი მომავალი პერსპექტივების შესახებ. სხვათა შორის, ამ მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ე. წ. საუწყებო სტამბებსა და პოლიგრაფიულ ტრესტის შორის არა-ჯანსაღ კონკურენციის ნიადაგზე. იყო აღნიშნული ისეთი ფაქტი, როცა საუწყებო სტამბის წარმომადგენელმა კონკურენციის მიზნით აიღო საკმაო დიდი ღირებულების საქმე იმდენად იაფად, რომ აღებული ფასი არ ფარავდა ამ საქმისათვის საჭირო ქაღალდის ფასსაც-კი. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს არა მარტო უთავბოლობა და დაუდევრობაა — ეს ბოროტმოქმედებას უდრის.

დღეს პოლიგრაფიულ წარმოებაში ქაღალდის ნაკლებობის გამო უმუშევრობაა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დამკვეთმა ორგანიზაციებმა ბოროტად ისარგებლონ ამ გარემოებით და ვთქვათ, 10 მანეთად ღირებული სამუშაო ხუთ მანეთად შეასრულებინონ უსაქმობისგან გაჭირვებულ რომელიმე სტამბას. ეს არ არის პროდუქციის გაიაფება. ეს არის ავადმყოფური მოვლენა ჩვენს სინამდვილეში და ამას უთუოდ უნდა ბოლო მოეღოს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება კიდევ არ აღინიშნოს ერთი უარყოფითი მოვლენა. მე ვლაპარაკობ კომისიონერების არსებობაზე. უმუშევრობისაგან ისედაც დასუსტებულ პოლიგრაფიულ წარმოებას ზედმეტ ხორცად აქვს მიკრული ეს სხვადასხვა ტიპის ვაჟბატონები. ამ სტრიქონების დამწერი იცნობს ერთ ადამიანს, სტამბის საქმესთან გაცნობილს და ანგარიშით-წარმოების კარგათ მცოდნეს, რომელსაც თავის ხელობად გაუხდია დაწესებულებებში სიარული სასტამბო საქმეების საშოვნელად, რისთვისაც, რა თქმა უნდა, კარგ პროცენტსაც იღებს. ეს პროცენტები — კი, რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშით იმატება იმ აუცილებელ საორგანიზაციო ხარჯებს, რომლის შემცირებისთვისაც ჩვენ ამდენი ხანია თავს ვიმტვრევთ.

რად გვინდა ჩვენ შუამავლები ამ კომისიონერების სახით? ჩვენი სტამბის გამგეები, მათი თანაშემწეები და ადმინისტრატიული პერსონალი საჭიროების დროს მუდამ მზად უნდა იყვნენ დაკვეთების მისაღებად. ამ არამკითხე ვაჟბატონებმა კი უნდა მონახონ უფრო პატიოსანი საშუალება თავის სარჩენად.

სტამბების გაერთიანების საკითხი

ზემოთ აღნიშნულ არა-ჯანსაღ კონკურენციის მაგალითების დასაწყისი უნდა ვეძიოთ წვრილ და მსხვილ საუწყებათაშორისო სტამბების არსებობაში. ასეთი სტამბების რაოდენობა თბილისში კარგა მოზრდილ პროცენტს შეადგენს. ჩვენის აზრით, უმთავრესად ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის უსისტემობა და უთავბოლობა მუშაობაში, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული. ეგევე აძნელებს ბრძოლას პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისათვის. ამასვე შეაქვს არევ-დარევა სასტამბო ინვენტარის და მანქანების შეძენის საქმეში.

ეს სტამბები რომ ერთი გამგებლობის ქვეშ ყოფილიყო, სამასი ათას მანეთს დაზოგავდა ჩვენი ღარიბი ხაზინა და მკითხველი დამეთანხმება, ასეთი შედარებით, პატარა დარგისათვის, დიდი საქმე იქნებოდა. საჭიროა, რომ პრაქტიკულად იქნეს დამუშავებული და გადაწყვეტილი ეს საკითხი. ყოველ შემთხვევაში საჭიროა მისი საბოლოოდ გამორკვევა.

საჭიროა სტამბების კონცენტრაცია

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სტამბების პატარ-პატარა ერთეულებად დაქსაქსულობა და შეუფერებელი ადგილმდებარეობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა გაზეთებისათვის, რომელთა უმრავლესობა მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ ადგილას. გაზეთი ჩვენი ცხოვრების უდიდესი ფაქტორია და ის უნდა იყოს მოთავსებული უეჭველად ქალაქის ცენტრში. განსაკუთრებით მისახვედრია ეს თბილისისათვის, რომელსაც არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა აქვს, და სადაც ყველა სახელმწიფო მნიშვნელოვანი დაწესებულება თითქმის ერთ კვადრატიულ ვერსზეა მოთავსებული. აქ სცემს მთელი ქალაქის და, შეიძლება მთელი მხარისაც, მაჯა და გაზეთებიც სწორედ ამათ ახლო უნდა იბეჭდებოდეს.

საჭიროა პოლიგრაფტრესტმა იზრუნოს ერთ დიდ შენობის აგებისათვის ქალაქის ცენტრში და, სხვათა შორის, გაზეთების სტამბაც იქ მოთავსდეს.

ვათავებ რა ამ წერილს, საჭიროთ მიგვაჩნია ჯამი გავუკეთოთ მის უმთავრეს დებულებებს და ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ვისაც ეს ევალება, რომ:

1. საჭიროა ბეჭდვითი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ამ მიზნით პროფტექნიკურ კურსებისადმი მეტი ყურადღება. ყურადღება აგრეთვე კორექტორების მომზადებას.
2. საჭიროა შემოღებულ იქნას მუშაობის ერთი სისტემა ყველა სტამბებში და ამ მიზნით სტამბების ადმინისტრატიულ - ტექნიკურ პერსონალის თათბირის მოწვევა ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის გასაცხოველებლად.
3. საჭიროა არა - ჯანსაღ კონკურენციის და ამ ნიადაგზე შექმნილ კომისიონერების მუშაობის ძირიან - ფესვიანად აღმოფხვრა.
4. დამუშავებულ იქნას პრაქტიკულად საკითხი სტამბების გაერთიანების შესახებ ერთი მმართველობის ქვეშ, რათა ბოლო მოეღოს არა-ჯანსაღ კონკურენციას, რომელსაც დღეს აქვს ადგილი.
5. საჭიროა სტამბების კონცენტრაცია. ამისთვის საჭიროა ქალაქის ცენტრში ერთი დიდი შენობის აგება, სადაც უნდა მოთავსდეს, სხვათა შორის, გაზეთების სტამბაც.

დღეს 5 მაისია,— ბეჭდვითი სიტყვის დღე—და ვუსურვოთ ჩვენს ამხანაგებს, სამეურნეო ფრონტზე მომუშავეთ, რომ მომავალი წლის 5 მაისისათვის არ დაგვჭირვებოდეს მითითება ამავე ნაკლზე.

მაკარი გოგუაძე.

5ა
ნიშანსვეტი
ГОЛОС КА
წითელ

თბილისის წარმოება-დაწესებულებების მუშა -მოსამსახურეთა კედლის გაზეთები

ამხ. ს. გუბელის ხსოვნას

ამხ. ს. გუბელი

2 მაისს, სოხუმში „ორიანტში“ გარდაიცვალა ამხ. სერაფიონ ალექსის ძე გუბელი (მეძმარიაშვილი).

ძველ რევოლიუციონერთა საფლავს კიდევ ერთი მებრძოლი შეუერთდა: ამხ. გუბელი ცნობილი იყო ჩვენი პარტიის რიგებისათვის, მაგრამ მისი სახელი უკვე 8 წელია რაც იშვიათად ისმოდა. ეს კაცი იტანჯებოდა საშინელი ავადმყოფობით—ჭლექით, მას მხოლოდ აბასთუმანის, სოხუმის და სხვა სანატორიუმებში შეხვდებოდით.

პარტიამ ის გერმანიაშიაც კი გაგზავნა საექიმოთ... 8 წლიწადი ენერგიულად ებრძოდა გუბელი სენს, არაჩვეულებრივად მტკიცედ იცავდა საექიმო რეჟიმს, მაგრამ ამაოთ. სენთან ბრძოლას მან ვეღარ გაუძლო.

ვინ იყო გუბელი? გუბელი ხელობით ფარმაცევტი, საქმით რევოლიუციონერი ბოლშევიკი იყო 1908 წლიდან. ის იყო პირდაპირი, გულწრფელი და უანგარო ამხანაგი.

მიუხედავად ავადმყოფობისა, დიდხანს არ შორდებოდა პარტიულ მუშაობას. ამხანაგები თავის დროზე ეუბნებოდნენ, გაშორებოდა მუშაობას, მაგრამ ის არ ისვენებდა, სანამ ის სავსებით ლოგინათ არ ჩავარდა.

ჩრდილოეთ-კავკასიაში, სამოქალაქო ომის დროს, ის იყო პასუხისმგებელ მომუშავეთ სახალხო კომისართა საბჭოში. სოხუმში, ბაქოში, ქუთაისში და ბათომში ამხ. გუბელი საპასუხისმგებლო და ხშირად პირადად მისთვის მეტად სახიფათო მუშაობას ეწეოდა. მას ამაში შველოდა ცოდნა, პრაქტიკა და მებრძოლის დაუდგრომელი ბუნება.

სერგო გუბელის მდგომარეობა ყველას აწუხებდა. ეს კაცი მეტად საჭირო იყო ჩვენი პარტიისათვის. სერგო მუდამ იტანჯებოდა, რადგან გრძნობდა, რომ მას აღარ შეეძლო ემუშავნა და თავისი წვლილი შეეტანა იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც კომუნისტური პარტია აწარმოებს. 1921 წლის შემდეგ მან მხოლოდ ერთი წელი შეძლო ემუშავნა აჭარისტანში მეტად პასუხისმგებელ თანამდებობაზე, რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარეთ და იუსტიციის სახალხო კომისრათ.

ეს ის მომენტი იყო, როდესაც აჭარისტანის ავტონომიის საკითხში მთელი რიგი ამხანაგებიც ვერ ერკვეოდნენ და სურდათ ისე ემუშავნათ აჭარისტანში, როგორც ჩვეულებრივ საქართველოს მაზრაში. სერგო გუბელის მეთაურობით აჭარისტანში საძირკველი ჩაეყარა სწორ ბოლშევიკურ ნაციონალურ მუშაობას. მისი მეთაურობით მოწვეულ იქნა აჭარისტანის პირველი მეჯლისი, რომლის ისტორიული მნიშვნელობაც დღეს ჩვენთვის უფრო ნათელია, ვიდრე ოდესმე. აქ ორი მეჯლისი ძველი და ახალი ერთი-მეორეს დაუპირდაპირდა. პირველი მეჯლისი, რომელიც ფიქცია იყო აჭარისტანისათვის და რომელიც მენშევიკური ხელისუფლების მაჩანჩალას წარმოადგენდა, უნდა გაუქმებულიყო. ამხ. გუბელის და მასთან სხვა ამხანაგების ხელმძღვანელობით სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა პირველი მეჯლისის წინააღმდეგ —ის გადახალისებულ იქნა. მეჯლისმა კატეგორიულად გადასჭრა აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების საკითხი, მეჯლისმა სცნო საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის სრული ხელმძღვანელობა. ახალი მეჯლისის სოციალური შემადგენლობა არ იყო შესაფერისი, მაგრამ სწორი ხელმძღვანელობით მეჯლისი ატარებდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაკარნახევ ხაზს.

ეს დიდი მუშაობა ჩატარებულ იქნა ამხ. გუბელის უაქტიურესი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

ამხ. გუბელის დაუფასებელი ღირსება ის იყო, რომ ის ყოველთვის გვერდში ედგა პარტიას. ის ბოლშევიკურად ერკვეოდა საკითხებში, იყო მტკიცე, თავდადებული და ენერგიული ლენინელი.

თ. ჟ.

მეგობარი და რევოლიუციონერი

გარდაიცვალა ამხ. სერგო. ბევრი ძველი რევოლიუციონერი, მეფისა და მენშევიკების დროის ფარული მომუშავე კარგად იცნობს ამხ. გუბელს, იმავე კორძაძეს, იმავე მეძმარიაშვილს და ბევრი სხვა გვარისას, რომელსაც განსვენებული თითქმის ყოველთვე იცვლიდა, რათა რამოდენიმე მაინც უზრუნველეყო თავისი უშიშროება კვალდაკვალ მდევნელი ჯაშუშებისა და ჟანდარმებისაგან. ამხ. სერგო მუდამ იგზავნებოდა ფარული მუშაობის უაღრესად ძნელსა და პასუხისაგებ საქმეებზე; იგი ყოველთვის სისწორით ასრულებდა პარტიის ყოველ დავალებას, რომელიც სახიფათო იყო მისი სიცოცხლისათვის. განსვენებული მტკიცედ და უყოყმანოდ ანხორციელებდა პარტიის ხაზს და თავის გარშემო თავს უყრიდა რევოლიუციის ინტერესების ყველაზე უფრო ერთგულ მუშებს. მან იცოდა, თუ როგორ უნდა გაჰყოლოდნენ პარტიას მასები და საამისოდ მუდამ აჩერხებდა მკაფიო ბოლშევიკური ლოზუნგების გამონახვას. იგი პირადი მაგალითით უჩვენებდა ყველას, თუ რანაირად უნდა ბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

აი უფრო თვალსაჩინო ფაქტები, რომლებიც ჩვენ დაგვახსოვდა:

— ეს იყო 1919 წელს. კავკასიის საოლქო ფარულმა პარტიულმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოამზადოს აჯანყება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება ბათომში, რომელიც თეთრგვარდიელების ბურჯად გადაიქცა. საჭირო იყო მტკიცე, ენერგიული ამხანაგი, რომელიც კარგად გაერკვეოდა რთული პოლიტიკურ პირობებში და უყოყმანოდ შეასრულებდა პარტიული ცენტრის დირექტივებს. არჩევანი ხვდა ამხ. სერგოს. მან თავისი მუშაობის მოკლე ხნის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რაც საჭირო იყო ამ სახიფათო ოპერაციის წარმატებისათვის. მხოლოდ საოლქო კომიტეტის შემდგომმა დირექტივამ აჯანყების გადადების შესახებ საშუალება არ მისცა მას განეხორციელებინა საქმე.

1920 წლის დამდეგი იყო. ბათომის საკითხის გარშემო იმპერიალისტებს ვნებათა ღელვა აღეგზნათ. ინგლისელებს ოლქი თავიანთ ბრჭყალებში ეჭირათ. დაჟინებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ერთმანეთს შეუთანხმდნენ ოლქის საერთო ოკუპაციის შესახებ. დენიკინი მასზე თავის „ისტორიულ“ უფლებებს აცხადებდა. მენშევიკები მუხლის ჩოქით ემუდარებოდნენ ინგლისელ ვენერლებს—დაებრუნებინათ ბათომი თავისი „ღვიძლი დედისათვის“. ფრონტზე დამარცხებულ თურქეთს ძილში ესიზმრებოდა ბათომი თავის სამფლობელოთა შორის, ხოლო დიდმპყრობელური დაშნაკური სომხეთი ოცნებობდა „დიდი სომხეთისათვის“, რომელშიაც შევიდოდნენ ტრაპიზონი და ბათომი.

საჭირო იყო ბათომის მუშათა მასების სწორი გარკვევა ამ საკითხში. და აი მუშათა ფართო კონფერენციაზე ამხ. გუბელმა მკაფიო ბოლშევიკური თვალსაზრისი ჩამოაყალიბა. ბათომის მუშებისათვის სულ ერთი იყო, თუ რომელი სახელმწიფოს ფარგლებში შევიდოდა ბათომის ოლქი. მაგრამ ერთადერთ მისაღებ ხელისუფლებას ბათომის მშრომელებისათვის, როგორც მთელი მსოფლიო მშრომელებისათვის, საბჭ. ხელისუფლება წარმოადგენდა. მაშ ასე, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ბათომში,—აი ჩვენი დევიზი, რომელსაც ასე თავდადებით ანხორციელებდა ამხ. სერგო.

1920 წლის 29 აპრილი. ქალაქის ცენტრში დღისით რამდენიმეჯერმე გაისმა სროლის ხმა. მოკვდა სპარსეთის რევოლიუციის და ჩრდილოეთ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლების ჯალათი ვენ. ლიახოვი. ინგლისელები გააოცა და შიშის ზარი დასცა ასეთი სასჯელის კადნიერებამ. მკვლელობის ადგილას, ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა პროლეტარული შურისძიების აქტის ხელმძღვანელი ამხ. გუბელი.

ამიტომ გასაოცარი არ არის, რომ ამხ. გუბელს ბათომის მუშათა უდიდესი სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა 1920 წლის 1 მაისს. ამ დღეს 20 ათასმა პროლეტარმა თავი მოიყარა იმისათვის, რომ გამოემჟღავნებია თავისი მისწრაფება მუშათა კლასის გამანთავისუფლებელი ბრძოლისადმი. მათ მოსთხოვეს ინგლისელ ხელისუფალთ საყვარელი ხელმძღვანელისა და ტრიბუნის ამხ. სერგოს განთავისუფლება. თუმცა ინგლისელების განკარგულებაში იყო დრედნოუტები, ზარბაზნები და ყოველნაირი ფერის ჯარი, თუმცა განსაკუთრებით ამ დღეს ისინი თავით-ფეხებამდე იყვნენ შეიარაღებულნი, ხოლო ბათომი სამხედრო ბანაკად ჰქონდათ გადაქცეული, მაგრამ მაინც უნდა შეესრულებინათ, ვერც გაბედავდნენ არ შეესრულებინათ მასების მოთხოვნილება და ამხ. გუბელი „თავდებით“ გადასცეს დემონსტრაციის დელეგაციას.

აი ასეთი იყო ჩვენი ძველი მეგობარი, რევოლიუციის ერთგული ჯარისკაცი ამხ. სერგო.

ის ეხლა აღარ გვყავს. ხანგრძლივმა რევოლიუციონურმა მუშაობამ, რვა წლის მძიმე ავადმყოფობამ თავისი გაიტანეს. მოგვშორდა კიდევ ერთი უერთგულესი მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, სოციალიზმისათვის.

განისვენე ამხ. სერგო და იცოდე, რომ რევოლიუციის დროშას, რომელიც შენ თამამად და ამაყად გეჭირა ხელში, არასოდეს ძირს არ ჩამოუშვებთ! მას დანიშნულ მიზნამდე მიიტანს მუშათა კლასი, რომლის გამარჯვებისათვის იბრძოდი და მოკვდი.

ი. პევცოვი, მ. მარკმანი.

სამოქალაქო პანაშვიდი

საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტი, ქალაქის რაიონის კომიტეტი აუწყებენ თბილისის ორგანიზაციის წევრებს, რომ დღეს, 5 მაისს, დილის 10 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ამხ. სერგო გუბელის ხსოვნის აღსანიშნავად. ყველა პარტიული ამხანაგები და პროფკავშირთა წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ დილის სრულ 10 საათზე.

ამხ. ს. გუბელის ხსოვნისათვის

გვირგვინის მაგიერ—შეგვაქვს რემედასში ათ-ათი მანეთი: ლ. სუხიშვილი, ნ. სვანიძე, გ. შოგირაძე, ნ. ბახტაძე, ი. პევცოვი, გ. პიასეცკი. კ. ბერძენიშვილი, მ. მარკმანი.

საბჭოთა აჭარისტანის პირველი რევკომის თავმჯდომარის ხსოვნისათვის შეგვაქვს რემედასში (გვირგვინის მაგიერ) ათ-ათი მანეთი. აჭარისტანის მუშაკები: მოედინ სურმანიძე, მემედ გოგიბერიძე, ზექერია ლორთქიფანიძე, ლევან გამყრელიძე, ალეკო ფანცხავა, იუსუფ ბოლქვაძე, ნესტორ კუნჭულია, სერგო ჭინჭარაძე, გრიშა ბრელიძე, სულეიმან ზაქარიაძე, იუსუფ მახარაძე, იოსებ ბრეგაძე, ავთანდილოვი.

შავი ზღვის საჰაერო ხაზის გახსნა

„უკრვოზდუხპუტის“ თბილისის კანტორაში მიღებული ცნობებით, მოსკოვ-თბილისი-ბაქოს შორის შავი ზღვის საჰაერო ხაზით სამგზავრო აეროპლანების რეგულიარული მიმოსვლა დაიწყება 12 მაისიდან ხაზზე სამგზავ. მიმოსვლა უნდა დაწყებულიყო 5 მაისიდან, მაგრამ ამას ხელი შეუშალა სოჭაში აეროდრომის თავის დროზე მოუწყობლობამ. ამჟამად სოჭის აეროდრომის მოწყობა სასწრაფო წესით სწარმოებს და 10 მაისს აეროდრომი სავსებით მზად იქნება.

თბილისში უკვე დაწყებულია მუშაობა სამოქალაქო ავიაციის აეროდრომის ასაგებათ. აეროდრომისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი გამოყოფილია და აგრეთვე კანტორის ახალი შენობა, ბენზინის შესანახი საწყობი და სხვ. შენობები. აეროდრომი სავსებით მზათაა აგრეთვე ქუთაისში და ყველა იმ პუნქტებში, სადაც შეჩერდებიან სამგზავრო აეროპლანები.

აეროპლანებით მგზავრობის ნიხრი უკვე გამომუშავებულია. გადასაფრენი ნიხრის შესახებ მსურველებს ცნობებს აძლევს „უკრვოზდუხპუტ“-ის თბილისის კანტორა, რომელიც მოთავსებულია სამოქალაქო ავიაციის აეროდრომთან ნავთლუღში (ტელ. 2—07).

თბილისში ჩამოფრენილი აეროპლანები დღეს დილით განაწილებული იქნებიან სხვადასხვა საავიაციო სადგურებს შორის. 3 აეროპლანი გაფრინდება თბილისიდან სოჭისაკენ, 2 აეროპლანი თბილისიდან ბაქოსაკენ, ხოლო დანარჩენი აეროპლანები დარჩებიან თბილისში.

საბჭოთა კონსტრუქციის ჰაეროპლანი „K 4“

ადგილობრივი მრეწველობის საკონტროლო ციფრები

1929—30 წლისათვის

ს. შ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ შეიმუშავა ადგილობრივი მრეწველობის დარგში შესასრულებელი საამშენებლო სამუშაოების საკონტროლო ციფრები 1929 წლისათვის. სულ ადგილობრივი მრეწველობის დარგში შესასრულებელი საამშენებლო სამუშაოებისათვის განზრახულია 4.078.000 მანეთის დახარჯვა. ამ თანხიდან 2.011.000 მანეთი გათვალისწინებულია მხოლოდ ისეთი წარმოებების ასაგებათ, რომლებიც ამზადებენ საამშენებლო მასალებს (აგური, კრამიტი, ყავარი, კირი ქვა, ცემენტი და სხვ.).

საკვები პროდუქტების დამამზადებელი წარმოებებისათვის გათვალისწინებულია — 1.547.000 მანეთის დახარჯვა. ამ თანხით დაწყებული იქნება შემდეგი ახალი ქარხნების აგება: საკონსერვო ქარხნების — ქუთაისში და მუხრანში. (მუხრანის საკონსერვო ქარხანას ააგებს თბილისის ალმასკომი); ხილის სახმობი ქარხანა აგებული იქნება ცხინვალში და თევზის ქარხანა ფოთში. გარდა ახალი ქარხნების საამშენებლო სამუშაოთა დაწყებისა, მოხდება აგრეთვე არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება.

ადგილობრივი მნიშვნელობის ლითონის მრეწველობისათვის გათვალისწინებულია 283.000 მანეთის დახარჯვა. ამ თანხით, გარდა არსებული ქარხნების შეკეთებისა, დაწყებული იქნება დიდი მექანიკური სახელოსნოს აგება ცხინვალში.

ახალი საუტილიზაციო ქარხნების ასაგებათ გათვალისწინებულია 237.000 მანეთი. საუტილიზაციო ქარხნები გადაამუშავებენ მრეწველობის სხვა დარგებში დაგროვილ გამოუსადეგარ ნარჩენებს. ერთი ასეთი საუტილიზაციო ქარხანა აგებული იქნება სოხუმში და მეორე ცხინვალში.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი*)

(გაიმართა მოსკოვში 26—28 აპრილს)

მოგებათა ოფიციალური ცხრილი

უპროცენტო ობლიგაციები

მეშვიდე თანრიგში მოიგეს შემდეგი სერიისა და ნომრის ობლიგაციებმა

29553	1—7, 9—25	100	მან.
29641	1—25	100	„
29869	7	1.000	„
29869	1—6, 8—25	100	„
30090	1—25	100	«
30131	9	1.000	„
30131	1—8, 10—25	100	„
30425	„	100	„
30475	1—25	„	„
30600	„	„	„
30649	„	„	„
30748	„	«	„
31300	„	„	„
31339	„	„	„
31349	18	1.000	„
31349	1—17, 19—25	100	„
31460	1—25	„	„
31485	„	„	«
31512	„	„	„
31703	„	„	„
31880	„	„	„
32067	„	„	„
32268	„	«	„
32437	„	„	„
33071	„	„	„
33741	„	„	„
33888	17	1.000	„
33888	1—16, 18—25	100	„
34285	1—25	„	„
34347	«	„	„
34631	„	„	„
34781	„	„	„
34879	„	„	„
34918	„	„	„
35416	„	«	„
35542	„	„	„
35572	„	„	„
35592	„	„	„
35616	„	„	„
35982	„	„	«
36093	„	„	„
36157	„	„	„
36278	„	„	„
36387	„	„	„
36739	„	«	„
36996	„	„	„
37143	„	„	„
37226	„	„	„
37259	„	„	„
37328	„	„	«
37431	„	„	„
37512	„	„	„
37712	„	„	„
38260	„	„	„
38783	1—25	250	„
39045	«	100	„
39098	„	„	„
39934	„	„	„
40236	„	„	„
40574	„	„	„
40718	„	„	„
40769	«	„	„
41120	„	„	„
41307	„	„	„
41536	„	„	„
41570	„	„	„
41651	„	„	„
41760	«	„	„
42005	1—2	250	„
42141	„	100	„
42333	„	„	„
42580	„	„	„
42587	„	„	„
42842	„	„	„
42938	«	„	„
43213	„	„	„
43345	„	„	„
38438	„	250	„
38483	„	100	„
38745	„	„	„
43360	„	250	„
43373	„	100	„
43422	„	„	„
43529	„	„	„
43616	„	„	„
43969	„	250	„
44021	4	1.000	„
44021	1—3, 5—25	100	„
44031	1—25	„	„
44062	«	„	„
44139	„	„	„
44292	„	„	„
44336	„	„	„
44468	„	„	„
44761	4	1.000	„
44761	1—3, 5—25	100	„
44855	1—25	„	«
44878	21	1.000	„
44878	1—20, 22—25	100	„
45117	1—25	„	„
45183	„	„	„
45594	„	„	„
45637	„	„	„
45696	„	«	„
45981	„	„	„
46431	„	„	„
46453	1—25	100	„
46756	„	„	„
46788	„	„	«
47423	„	„	„
47694	4	5.000	„
47694	1—3, 5—25	100	„
47801	1—25	„	„
47933	„	„	„
48292	„	„	„
48461	«	„	„
48577	„	„	„
48590	„	„	„
48847	„	„	„
49216	„	„	„
49225	„	„	„
49231	«	„	„
49429	„	„	„
49485	„	„	„
49534	„	„	„
49710	„	„	„
49761	„	„	„
49796	«	„	„
49882	„	„	„
49884	„	„	„
50156	„	„	„
50276	20	1.000	„
50276	1—19, 21—25	100	„
50361	1—25	„	„
50533	1—25	„	„
50542	5	1.000	«
50542	1—4, 6—25	100	„
50625	4	1.000	„
50625	1—3, 5—25	100	„
50714	„	„	„
50773	17	1.000	„
50773	1—16, 18—25	100	„
50840	1—25	„	„
50849	„	„	„
51030	„	«	„
51149	„	„	„
51489	„	„	„
51555	„	„	„
51624	„	„	„
51952	„	„	«
52637	„	„	„
52648	2	1.000	„
52648	1, 3—25	100	„
53035	1—25	„	„
53267	„	„	„
53430	„	„	«
53511	„	„	„
53551	„	„	„
54034	„	„	„
54109	„	„	„
54181	20	1.000	„
54181	1—19, 21—25	100	«
54201	6	1.000	„
54201	1—5, 7—25	100	„
54354	1—25	„	„
54676	13	1.000	„
54676	1—12, 14—25	100	„
55605	1—25	„	„
54788	„	„	„
54987	„	„	„
55605	„	«	„
55623	„	„	„
56174	„	„	„
56340	„	„	„
56817	„	„	„
57389	„	„	«
57417	„	„	„
57543	„	„	„
57645	„	„	„
57655	„	„	„
57685	„	«	„
57753	„	„	„
58197	„	„	„
58198	„	„	„
58330	4	„	„
58443	„	„	«
58501	1—25	250	„
58542	„	100	„
58558	„	„	„
58623	„	„	„
58665	11	1.000	„
58665	1—10, 12—25	100	„
58923	1—25	„	„
59049	«	„	„
59275	„	„	„
59659	„	„	„
59776	„	„	„
59784	„	„	„
59901	„	„	„
59930	«	„	„
59988	„	„	„
60062	„	„	„
60190	„	„	„
61008	16	1.000	„
61008	1—15, 17—25	100	„
61263	1—25	„	„
61577	„	„	«
62090	„	„	„
62129	„	„	„
62480	„	„	„
62682	„	„	„
62794	„	«	„
62860	„	„	„
62880	1—25	100	„
63158	„	„	„
63180	„	„	„
63358	„	„	«
63452	„	„	„
63462	„	„	„
63553	„	„	„
63835	„	„	„
64053	„	«	„
64082	„	„	„
64271	„	„	„
64702	„	„	„
64719	„	„	„
64734	„	„	«
64923	6	1.000	„
64923	1—5, 7—25	100	„
65122	21	1.000	„
65122	1—20, 22—25	100	„
65155	1—25	„	„
65256	25	1.000	„
62256	1—24	100	„
65288	1—25	„	„
65346	„	„	„
65425	«	„	„
66082	„	„	„
66155	„	„	„
66226	„	„	„
66491	„	„	„
66895	„	„	„
66970	«	„	„
66975	14	1.000	„
66975	1—13, 15—25	100	„
67058	1—25	„	„
67068	„	„	„
67149	„	„	„
67309	„	„	„
67398	„	„	«
67837	21	1.000	„
67837	1—20, 22—25	100	„
67865	1—25	„	„
68337	„	„	„
68615	„	„	„
68761	„	„	„
68776	«	„	„
68805	„	„	„
68852	„	„	„
68873	„	„	„
68949	„	„	„
68948	«	„	„
69266	„	„	„
69300	„	„	„
69433	„	„	„
69449	„	„	„
69669	„	„	„
69770	«	„	„
69873	1—25	100	„
69976	„	„	„
70039	15	1.000	„
70039	1—14, 15—25	100	„
70050	1—25	„	„
70102	9	1.000	„
70102	1—8, 10—25	100	„
70120	1—25	„	„
70171	„	«	„
70594	„	„	„
70658	„	„	„
70870	„	„	„
71421	„	„	„
71425	„	„	«
71439	„	„	„
71489	„	„	„
71541	„	„	„
71636	„	„	„
71772	„	«	„
72181	„	„	„
72383	„	„	„
72483	„	„	„
72624	„	„	„
72864	„	„	«
73097	„	„	„
73299	„	„	„
73543	„	„	„
73873	„	„	„
74442	„	«	„
74482	16	1.000	„
74482	1—15, 17—25	100	„
74499	1—25	„	„
74513	„	„	„
74686	„	„	„
74969	„	„	„
75059	„	„	„
75121	„	„	„
75196	„	„	„
75275	„	„	«
75447	„	„	„
75815	„	„	„
75911	„	„	„
75992	„	„	„
76036	„	«	„
76745	„	„	„
76820	„	„	„
76831	„	„	„
76972	„	„	„
76997	„	„	«
77035	„	„	„
77119	„	„	„
77368	25	1.000	„
77368	1—24	100	„
77369	1—25	„	„
77561	„	„	„
77572	«	„	„
77591	„	„	„
77609	„	„	„
78000	„	„	„
78246	„	„	„
78400	„	„	„
78535	«	„	„
79036	2	1.000	„
79036	1, 3—25	100	„
79310	1—25	100	„
79678	„	„	„

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 99. ვინაიდან გუშინ ამ.-კავკ. დეპ. სააგენტოს მიერ გადმოცემულ ცხრილში გაიპარა შეცდომები, ობლიგაციების ნომრები 29.553-დან 53.430-დე ხელმეორეთ იბეჭდება.

ა. განჯისკარელის დაკრძალვა



დღეს, სოფ. ღრმა-ღელეში დაკრძალავენ სახალხო პოეტს ანტონ განჯისკარელს. დილის 11 საათზე ხელოვნების სასახლესთან შეიკრიბებიან განსვენებულის პატივისმცემლები სოფ ღრმა-ღელეში გასამგზავრებლათ.

საზაფხულო ბანაკი

ქართულ დივიზიისათვის

დღემდე საქართველოს პროფკავშირების მიერ ქართული ტერიტორიალური დივიზიის საზაფხულო ბანაკის ასაგებად გადადებულია 17.519 მან., აქედან ს. პ. კ. ს. გადასდო 1000 მანეთი, განათლების მუშაკთა კავშირმა--500 მან. მბეჭდავთა—100, სამთა-მადნოს —500, სახ. კვების—75, მედსანშრომის—200, მკერავთა—100, ფეიქართა—360, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა—2425, სატრანსპორტო—100, მიწა-ტყის—500, ხის დამმუშავებელთა —365, ქიმიკოსთა—50, სურსათ-გემოვნების —330, კომ. მეურნეობის—100, ამშენებელთა —350, მეტყევეთა—100, მელითონეთა—200, რკინის გზელთა—250, ფოსტა-ტელეგრაფის —100, შავი ზღვის რკ. გზ. სამმ.—12, ამშენებელთა კავშირის ინჟ.-ტექ.—16, ბორჯომის შუშის ქარხკომი—20, ა.-კ. რკ. გზ. სამმ. —25, დეპო—50, ქიმიკოსთა ქარხკ. № 1—10, ქიმიკოსთა ქარხკომი № 2—10.

მადლობა მილიციას

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სარდლის ამხ. ავქსენტიევსკის ხელის მოწერით გამოქვეყნდა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ 1928 წლის გაწვევის ახალგაზრდა წითელ არმიელთა მიერ წითელი ფიცის მიღება და მშრომელთა დემონსტრაცია — საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის 1 მაისის დღეს სამაგალითოდ ჩატარდა.

სთვლის რა, რომ ეს სამაგალითო წესრიგი არის შედეგი მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მაღალი მომზადების და სიმტკიცისა, რაც მოწმობს, რომ მილიციას ზედმიწევნით აქვს დამუშავებული რევოლიუციონური წესრიგის დაცვის მეთოდები, ამხ. ავქსენტიევსკი მადლობას უცხადებს მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს და მილიციის მთელ პირად შემადგენლობას.

ქრონიკა

6 მაისს მუშაობენ

საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა და სამეცნიერო მუშაკთა საერთო კრების დადგენილებით, 6 მაისი ინსტიტუტში გამოცხადებულია სამუშაო დღეთ. მის ნაცვლათ დასასვენებელი დღე გადატანილია 13 მაისისათვის.

ინსტიტუტის სტუდენტთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ლექციები და ლაბორატორიებში მუშაობა 6 მაისს იწარმოებს ჩვეულებრივი წესით.

6 მაისს მუშაობა იწარმოებს აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

გლეხთა სახლის არსებობის 4 წლის თავი

გლეხთა ცენტრალურ სახლის არსებობის 4 წლის თავის აღსანიშნავად ამავე სახლში სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ჩამოსულ გლეხთა მონაწილეობით შესდგა საზეიმო კრება, რომელზედაც სახლის დაარსების მნიშვნელობისა და მისი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ხომერიკიმ.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ვ. ვაშაკიძემ, საყვარელიძემ და გლეხებმა.

დასასრულ სახლის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. მეძლიშვილმა.

სოციალისტური შეჯიბრება კავკ. წით. დროშოვან არმიაში

კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამხედრო ნაწილებში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება სამაგალითო კულტურული ბანაკის შექმნის მიზნით. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ სამხედრო ნაწილების შტაბიც. შეჯიბრება დამთავრდება 15 მაისისათვის და შეფარდებული იქნება ნაწილების ბანაკათ გასვლის დღესთან. შეჯიბრების შედეგია ის, რომ ზოგ ნაწილებს უკვე აქვთ მშვენიერათ მოწყობილი ბანაკები.

სოციალისტური შეჯიბრების კომისია

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სოციალისტური შეჯიბრის კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არის ამხ. მახაიძე. კომისიაში შედის 13 პირი, მათ შორის გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდოი ლენინეც“-ის წარმომადგენელნი.

ჟურნალ „ტრიბუნა“-ს კვირეული

მაისის 5-დან 14-მდე „საქმემს“-ი (საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობი საზ.-ბა) მთელს საქარ.-ში ატარებს ჟურნალ „ტრიბუნა“-ს კვირეულს. კვირეულის მიზანია ჟურნალის მკითხველთა რაოდენობის გადიდება და „მემმსის“ პოპულიარიზაცია. ჟურნალი გამოდის რუსულ ენაზე და მიზნათ ისახავს გააშუქოს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა, ებრაელთა საწარმოო შრომაში ჩაბმის საკითხები, მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის საქმე, ანტისემიტიზმთან ბრძოლის მეთოდები, ებრაელთა ცხოვრება ს. ს. რ.-კ.-ში და საზღვარგარეთ.

ბამბის მეურნეობის გასაფართოვებლად

ამიერ-კავკასიაში ბამბის მეურნეობის გასაფართოვებლად და ბამბის ღარიბეს მეურნეთათვის შესაფერი დახმარების გასაწევად ამ.-კავ. მებამბეობის კომიტეტმა გადასდო 1 მილიონი მანეთი, რომელიც განაწილებული იქნა ამ.-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

თბ. ალმასკომში

სტანდარტული ტიპის სახლი. თბ. ალმასკომის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა სტანდარტული ტიპის სახლის გეგმა. სტანდარტული წესითვე დამზადებული იქნება სახლისათვის საჭირო ხის მასალა და კარფანჯრები.

საქ. ცაკის წინაშე აღძრული იქნა შუამდგომლობა ბორჩალოს მაზრის თბ. მაზრასთან შემოერთების შესახებ.

მიწადმოქმ. სახ. კომისარიატში

ყარაყულის ჯიშის ცხვარის მოსაშენებლად მიწადმოქმ. სახ. კომისარიატმა საკავშირო ფონდიდან მიიღო 50.000 მან.

მეფრინველეობის კურსები. ზოოტექნიკური განყოფილება ახლო ხანში თბილისში გახსნის მეფრინველეობის მოკლევადიან კურსებს.

ჯანსახკომში

ჩამორჩენილ სოფლებში საბავშო ბაგების მოსაწყობათ გადადებულია 27 ათასი მან.

აჭარისტანის სამკურნალო დაწესებულებებისათვის უცხოეთში შეძენილი იქნა 10.000 მან. რენტგენის კაბინეტები.

სანიტარული ინჟენერი. ჯანსახკომმა დაადგინა დააწესოს დიდ ქალაქებში სანიტარული ინჟენერის თანამდებობა.

ხელოვნების ქრონიკა

ლიტერატურული გაზეთი

8 მაისს გამოვა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „5 მაისი“. გაზეთი გამოდის ბეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავად. გაზეთში მოთავსებულია მასალები შემდეგ საკითხებზე: მეშჩანობა და ობივატელობა, ბოჰემა, ლაციმულობა, შოვინიზმი, ყოფა-ცხოვრება და მწერლობა, ზედმეტი ადამიანები მწერლობაში, თანამგზავრობა, ხალტურა მწერლობაში, პროლეტარული მწერლობა დღეს, დრამატურგია, თანამედროვე მწერლობის შესწავლის საკითხი სკოლებში; მუშათა კლუბების კულტურული ცხოვრება, თეატრალური მუშაობა სოფლად, კინო, სახელგამი და წიგნი და სხვ. მხატვრული მწერლობა (პოეზია, პროზა). გაზეთს სცემს სახელგამი.

◆ **სატირის თეატრის წარმოდგენა.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში, თბილისის სატირის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. სიხარულიძის მუსიკ. სატირა 4 მოქმედებათ „ნალექი“. პიესას სდგამს რეჟისორი ნ. კახიძე.

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** დღეს, საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი ლიტერატურული კრება.

სასამართლო

ვინ გააჩინა ცეცხლი ფოთის მუშათა სასახლეში

ფოთის დამზღვევ სალაროს შესახებ ძალიან ცუდი ხმები დადიოდა. ლაპარაკობდნენ, რომ ყალბი ბიულეტენებით გააქვთ სალაროდან დიდძალი თანხები. ცნობები მიუვიდა პარტკომთან არსებულ მუშგლეხინის სამეულს, რომელმაც გადასწყვიტა მოეხდინა დამზღვევ სალაროს მოულოდნელი რევიზია.

მუშგლეხინის რწმუნებული ამხ. ახობაძე მოულოდნელად მიადგა კარს დამზღვევ სალაროს და შეუდგა საბუთების გასინჯვას. დიდძალი თანხა აღმოჩნდა გატანილი „ავადმყოფობის გამო“ „ზაკპოგრუზ“-ის კანტორის მუშა-მოსამსახურეების სახელზე. შთაბეჭდილება ისეთი შეიქმნა, თითქოს „ზაკპოგრუზ“-ის კანტორაში და მის ხელქვეით ორგანიზაციებში მხოლოდ ავადმყოფები არიან თავმოყრილი.

მუშგლეხინის რწმუნებულმა ამოსწერა რამოდენიმე საეჭვო ბიულეტენი, ჩაინიშნა იმ მუშების გვარები, რომელნიც ასე დაუსრულებლად „ავადმყოფობდნენ“ და გადასწყვიტა გამოერკვია, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს მათი ავადმყოფობა. ამის გამოსარკვევად საჭირო იყო „ზაკპოგრუზ“-ის კანტორაში ნამუშევართა ტაბელების გასინჯვა. თუ დამზღვევ სალაროზე გადარიცხულ მუშებს აღმოაჩნდებოდა ამ დღეების განმავლობაში ნამუშავარი, ცხადი გახდებოდა, რომ ან ბიულეტენი იყო ყალბი ან ტაბელი.

— აბა, ამხანაგო, არსად არაფერი წამოგცდეს, არავინ არ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ ვაპირებთ „ზაკპოგრუზ“-ის კანტორის ტაბელების გადასინჯვას. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც გაინტერესებს სინამდვილის გამორკვევა, — ეუბნება მუშგლეხინის რწმუნებული დამზღვევ სალაროს მოლარეს **სევასტი ვასილისძე წულაიას.**

— რა ლაპარაკი უნდა, ამხანაგო! ბავში ხომ არა ვარ! დაცული იქნება სრული საიდუმლოება,—უპასუხებს მოლარე.

გასული წლის 23 მარტს ცეცხლი ჩნდება ფოთის მუშათა სასახლეში, რომელშიაც მოთავსებული იყო „ზაკპოგრუზ“-ის კანტორა. ცეცხლი სწრაფად განვითარდა, მოედო მთელს კანტორას. ხელისუფლება ფეხზე დადგა, გამოვიდნენ მეხანძრეები, მუშები და შეერთებული ძალღონით მუშათა სასახლე დაწვას გადაარჩინეს. დაიწვა მხოლოდ „ზაკპოგრუზ“-ის კანტორის მთელი ინვენტარი, საკანცელარიო საბუთები, ტაბელები და სხვ.

ეს მოხდა დამზღვევ სალაროს რევიზიიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ. ასე რომ, მუშგლეხინის რწმუნებულმა ველარ მოასწრო ტაბელების გასინჯვა.

ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამორკვევას ხელი მოჰკიდა პოლიტსამმართველომ. აშკარა გახდა, რომ ცეცხლი განზრახ იყო გაჩენილი.

ეჭვით დაპატიმრებულ იქნა „ზაკპოგრუზ“-ის კანტორის საქმეთა მმართველი **ბესარიონ პეტრესძე დუნდუა** და მალე აღმოჩენილ იქნა მთელი ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობდა თვითონ დუნდუა და რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეწეოდა ბნელ საქმიანობას.

დამზღვევ სალაროს მოლარე სევასტი წულაია, რომელსაც, როგორც პარტიის წევრს, მუშგლეხინის რწმუნებულმა დაავალა საიდუმლოების შენახვა, თვითონ აღმოჩნდა კომბინატორი და ყალბი საბუთების მკეთებელთა ორგანიზაციის აქტიური მონაწილე.

როგორც კი მოუშორებია თავიდან მუშგლეხინის რწმუნებული, წულაია გაქცეულა დუნდუასთან და გაუფრთხილებია მოსალოდნელ რევიზიის შესახებ.

დუნდუას თავის ორგანიზაციაში ჩათრეული ჰყოლია 15-მდე მუშა- მოსამსახურე, რომელთაც აძლევდა მომზადებულ ყალბ ბიულეტენებს და ავალებდა დამზღვევ სალაროდან ფულების გამოტანას. დღეს ერთ მუშას „გახდიდა ავად“ საქმეთა - მმართველი, ხვალ მეორეს; გაგზავნიდა სალაროში შევსებული ბიულეტენით. მიღებული ფული საერთო იყო.

ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი გახლდათ აგრეთვე ფოთის საავადმყოფოს ფერშალი და საქმეთა - მმართველი **კლიმენტი მურზაყანისძე დგებუაძე,** რომელიც თვითონ „სვამდა დიაგნოზს“ და ბიულეტენზე ხელს აწერინებდა საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეს კომბინატორები აცალიერებდნენ დამზღვევ სალაროს.

დაახლოვებითი ანგარიშით, იმ შედარებით, მცირე საბუთების მიხედვით, რომელთა აღმოჩენა შესძლო საგამომძიებლო ორგანომ, სალაროდან ყალბი დოკუმენტებით გატანილია 26.000 მანეთამდე.

და როცა საქმე წახდა, ამ ორგანიზაციის აქტიურ წევრებს დუნდუას, წულაიას და დგებუაძეს შეთანხმებულად გაუჩენიათ ცეცხლი „ზაკპოგრუზ“-ის კანტორაში საბუთების გასანადგურებლად, მაგრამ მათ ბოროტმოქმედების კვალის დაფარვა ვერ შესძლეს. ორგანიზაციის ინიციატორები დანაშაულში გამოტყდნენ. მათთან ერთად პასუხისგებაში არის მიცემული ფოთის საავადმყოფოს მთავარი ექიმი **აბრამ ბუხმინდერი,** რომელიც ზერელედ ეკიდებოდა თავის მოვალეობას, ხელს აწერდა ყველაფერს, რასაც კი მიუტანდა ფერშალი დგებუაძე. ბუხმინდერს ხელი მოწერილი აქვს 100-მდე ყალბ ბიულეტენზე.

პასუხისგებაში არის მიცემული აგრეთვე 15-მდე მუშა, რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ ბნელი ორგანიზაციის მუშაობას.

საქმეს 10 მაისს გაარჩევს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება ფოთში.

გერ.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

კრედიტები მებამბეობის კოლმეურნეობებს

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და ა.-კ. სახკომსაბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად ღარიბთა ფონდის რესპუბლიკებს შორის განაწილების პროექტი. ამ ფონდში შედის ერთი მილიონი მანეთი და იგი განაწილებული იქნება ღარიბ მებამბეთათვის და მებამბეობის კოლმეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად. ამ თანხიდან კოლექტიური მეურნეობანი მიიღებენ 168.000 მანეთს და ღარიბთა მეურნეობანი 832.000 მან. ამ თანხით დახმარება გაეწევა 39.660 ღარიბ მეურნეობას.

მიწის განოყიერება მებამბეობის რაიონებში

ა.-კ. საგეგმო კომისიამ განიხილა და ა.-კ. სახკომსაბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად მებამბეობის რაიონებში მიწის განოყიერების გეგმა 1930 წლისათვის. სასუქების გავრცელება ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში იწარმოებს შემდეგი წესით: 1929—30 წელში აზერბეიჯანში განოყიერებული იქნება 40.000 ჰექტარი, სომხეთში—6.000 ჰექტარი, საქართველოში—3.600 ჰექტ. სულ კი მთელ ამიერ-კავკასიაში—49.600 ჰექტარი.

გეგმა ითვალისწინებს კოპტონის ხარჯვის შემცირებას მებამბეობის რაიონებში 40 პროცენტით; კოპტონი უნდა შეიცვალოს ქიმიური მარილებით. 1930 წლისათვის საჭირო სასუქის მიღება დაიწყება ივნისიდან.

ჩაის ახალი ფაბრიკა

საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს საპერსპექტივო გეგმით, ხუთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ჩაის ახალი მუდმივი ფაბრიკის აგება ზუგდიდში; ხოლო ამ მუდმივი ფაბრიკის აშენებამდე, საზ-ბის გამგეობამ დაადგინა აგებულ იქნას უახლოეს დროში ზუგდიდში ჩაის მსუბუქი ტიპის დროებითი ფაბრიკა, რომელიც გადაამუშავებს ზუგდიდის და გალის მაზრების ახალ პლანტაციებში მოკრეფილ ჩაის მწვანე ფოთოლს, რომელსაც წელს მოელიან 25.000 კლგრ., 1930 წ. კი—180.000 კლგრ. ზუგდიდში ჩაის მსუბუქი ტიპის დროებითი ფაბრიკის ასაგებად „საქართველოს ჩაიმ“ გადასდო 22.000 მან. საზოგადოებამ შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა ამოარჩიოს როგორც დროებით ქარხნის, ისე მუდმივი, საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულ ქარხნის ასაგებათ შესაფერი ადგილი.

შემთხვევები

ავტომობილის კატასტროფა

გუშინწინ, რუსთაველის პროსპექტზე (განათლების კომისარიატის შენობის პირდაპირ) თბილისის სისხლის სამართლის მილიციის ავტომობილს, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ლეჟავა, მარცხი შეემთხვა. ავტომობილს მოულოდნელად მოძვრა წინა ბორბალი. ავტომობილმა ინერციით განაგრძო გზა და განზე გადაწვა. ავტომობილში მჯდომმა პირებმა მოასწრეს გადმოხტომა და ამრიგათ კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ავტომობილი სერიოზულად დაზიანდა.

თავის დაჭრა

მცირე-წლოვან ქეთო ივანეს ასულს გაბარაშვილს (მცხ. იურევის ქ. № 85) უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და დაიჭრა ფეხში.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ საბჭოთა ქუჩაზე ჩამოინგრა სახლი № 7-ს აივანი.

აივნის ჩამონგრევის დროს დაშავდა ბარბალე დიმიტრის ასული მიქელაძე, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ქურდობა

პელაგია ვალდიანის ბინიდან (საბჭოთა ქ. № 143), მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.— გაქურდეს „ხლებოპროდუქტ“-ის საწყობი (დიდუბე); წაიღეს 30 ცალი ცარიელი ტომარა. — ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ნესტორ ჩიხლაძის ბინა (გოგოლის ქ. № 64), წაიღეს 135 მანეთის ტანსაცმელი. — ალექსი მათეოზოვის ბინიდან (კალინინის ქ. № 11) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

ქალის გატაცება

სოფ. ძველ - საკრაგულში (თბილისის მაზრა) დიმო გუზაშვილს ბინაზე თავს დაესხა სამი შეიარაღებული პირი, რომლებმაც მოინდომეს მისი ქალიშვილის გატაცება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ორი თავდამსხმელი იქვე დააპატიმრეს. ისინი აღმოჩდნენ: მიხა დავითური და იასონ ხოსროშვილი (სოფ. ბაგაში მცხოვრებნი).

ამა წლის 2 მაისს, ვიღაც ბოროტმოქმედნი კვლავ დაესხნენ გუზაშვილს ბინაზე და გაიტაცეს მისი ქალიშვილი დარიკო. გამოძიება სწარმოებს.

კლდის ჩამონგრევა

მცხეთის სამილიციო უბანში ჩამოინგრა კლდე, რომლის ქვეშ მოჰყვნენ: ისმაილ ახმედ - ოღლი და ისა ისმაილ - ოღლი. ორთავე მძიმედ დაშავდა. მათ აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ექსკურსიები

უკრაინელი კომკავშირელები თბილისში

თბილისში ჩამოსულმა უკრაინელმა კომკავშირელებმა გუშინ დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, ფუნიკულიორი, თბილისის მუზეუმები და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

დელეგაცია თბილისში დარჩება კიდევ ორი დღე.

ბაქოს და ერევნის კომკავშირლების გამგზავრება

ბაქოს და ერევნის კომკავშირელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციები, რომლებიც ჩამოსული იყვნენ თბილისში საპირველმაისო დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად, უკვე გაემგზავრენ თბილისიდან.

ბაქოს ნავთის სარეწაოების მუშათა ექსკურსია

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ბაქოს ნავთის ზოგიერთი სარეწაოების მუშათა საექსკურსიო ჯგუფი. მუშა-ექსკურსანტები თბილისში დარჩებიან ერთი დღე.

რკინის გზეზე

დამატებითი მატარებელი

ბათომის მიმართულებით მგზავრთა მოძრაობის გაძლიერების გამო, მატარებლების მიმოსვლის ახალი საზაფხულო ცხრილის შემოღებამდე თბილის-ბათომს შუა დანიშნულია კვირაში ერთხელ დამატებითი სახალხო მატარებელი № 9—10.

მატარებელი ივლის 15 მაისამდე. იგი თბილისიდან გავა შაბათობით ღამის 9 საათზე და 45 წუთზე, ხოლო თბილისში დაბრუნდება ორშაბათობით დილის 9 საათზე და 40 წუთზე —ადგილობრივი დროით.

მატარებელი მცხეთამდე

დღეს თბილისიდან-მცხეთამდე დანიშნულია დამატებითი სახალხო მატარებელი. მატარებელი თბილისიდან გავა დილის 8 საათზე და 20 წუთზე. უკან დაბრუნდება საღამოს.

4.500 მან. კლუბების შესაკეთებლად

ხაზებზე რკინისგზელთა კლუბების შესაკეთებლად თბილისის საუბნო კომიტეტმა გადასდო 4.500 მანეთი.

საზაფხულო კინო

აქამდე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ზაფხულობით კინო-სურათებს უჩვენებდნენ ღია ცის ქვეშ. წვიმიან დარში კინოს ჩვენება გარეთ მოუხერხებელი ხდებოდა, საზამთრო შენობაში კი მისი გადატანა შეუძლებელი იყო.

ამის გამო თბილისის საუბნო კომიტეტმა გადასწყვიტა კლუბის ეზოში კინო-ფარდულის აშენება.

ფარდულის ასაშენებლად გადადებულია 16.000 მანეთი.

ფქვილის გატაცება

3 მაისს, ღამის 12 ნახევარ საათზე, სადგ. ლიაკიდან საქონლის მატარებლის № 22 გაშვების დროს მთავარ კონდუქტორმა შეამჩნია, რომ ორ ვაგონზე პლომბები მოხსნილი იყო.

შემდეგ, ლიაკი-ალიკენტის გადასარბენზე მიმავალ მატარებლიდან (№ 109) ლიაკიდან სამი კილომეტრის დაშორებით მინდორზე შეამჩნიეს რამდენიმე პურის ფქვილით სავსე ტომარა.

ამის შესახებ ეცნობა სადგ. ლიაკს, საიდანაც ტომრების ასაკრეფად ორთქლმავლით გაემგზავრენ სადგურის მორიგე და გზის მცველი რაზმელები.

ნაჩვენებ ადილზე მისვლისას ფქვილიანი ტომრები აღარ იყო. შეამჩნიეს მხოლოდ ფქვილისა და ურმის კვალი.

რაზმელები გატაცებულ ფქვილის აღმოსაჩენად გაყვნენ ამ კვალს.

ჭადრაკი

შეჯიბრება ბაქოს და თბილისის პროფკავშირთა საჭადრაკო და საშაშო ნაკრებ გუნდებს შორის

შეჯიბრება ბაქოს და თბილისის საჭადრაკო გუნდებს შორის დამთავრდა თბილისის გამარჯვებით+10—6. საშაშო გუნდმა კი წააგო+8 ნახ.—1 ნახ. ბაქოს სასარგებლოდ.

მაესტრო ნენაროკოვის და სოროკინის საკვალიფიკაციო შეჯიბრება

სამშაბათს, 7 მაისს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში სრულ 6 საათზე დაიწყება მაესტრო ნენეროკოვსა და სოროკინს შორის საკვალიფიკაციო შეჯიბრების (მაესტროს სახელწოდებაზე) პირველი პარტიის გათამაშება. შეჯიბრება განსაზღვრულია 10 პარტიით.

ბაქოს ჩემპიონატი

მეხუთე ტურის შემდეგ პირველ ადგილზე არიან როსტოვცევი და გურვიჩი.

დოლი

დღეს თბილისის იპოდრომზე გაიმართება ცხენების მესამე გამოცდა.

სულ გაიმართება ექვსი დოლი, მათ შორის ორი—კავკასიის წითელდროშოვან არმიის მოხალისე მხედართათვის და ოთხი პროფესიონალ (ჟოკეი) მხედართათვის.

ამასთანავე ჩატარებული იქნება ერთი საჩვენებელი რბენა.

ერთ-ერთ დოლში მონაწილეობას მიიღებს გლეხ სულთანოვის (ბორჩალოს მაზრიდან) ცხენი.

გათამაშებული იქნება დიდი ჯილდო (400 მანეთი) ნახევარ-სისხლიან ცხენებისათვის.

დოლი დაიწყება დღის 1 საათზე.

რადიო-გადაცემა

კვირა, 5 მაისი

დღეს, თბილისის რადიო-გადამცემი სექტორი რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

დილის 10 საათიდან—პიონერების რადიოგაზეთი, ქართულ ენაზე; მსუბუქი მუსიკა—სამხედრო და აღმოსავლური ორკესტრები; რადიო-პიესა ანტირელიგიურ თემაზე, ქართულ ენაზე და კონცერტი; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; ანტირელიგიური გასცენიურება რუსულ ენაზე საკონცერტო განყოფილებით და პიონერებისა და მოსწავლეების მონაწილეობით; საუბარი—„ბუნების კანონები და საკვირველებანი“, ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; პოპულიარული კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა და ვოკალისტების მონაწილეობით.

ორშაბათი, 6 მაისი

რადიო-გადაცემა დაიწყება საღამოს 5 საათიდან. გადაცემული იქნება: რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელი არმიელი“ რადიოთი, ქართულ ენაზე; ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-5 ყრილობის გახსნის ტრანსლიაცია: მორზეს ანბანი რუსულ ენაზე.

სამშაბათი, 7 მაისი

საღ. 5 საათიდან გადაცემული იქნება: პიონერისა და მოსწავლის საათი, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზ. „პროლეტარი“ რადიოთი, სომხურ ენაზე; ლექცია სამეცნიერო თემაზე, ქართულ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირელების რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; რადიო-გადაცემათა კვირეული, პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე; პოპულიარული კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით; უკანასკნელი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, დილის 10 საათზე, ინსტიტუტის შენობაში შესდგება პარტიისა და კომკავშირის ყველა უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც უნდა დაესწრონ პარტიისა და კომკავშირის ყველა წევრები და კანდიდატები.

გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ 6 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე მოწვეულია აგროფაკის მე-5 უჯრედის ბიუროს სხდომა, რომელსაც აუცილებლათ უნდა დაესწრონ ბიუროს ყველა წევრები და კანდიდატები. ბიუროს სხდომაზე სავალდებულოა აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება:

მიხეილ ჯალაღანია, შალვა ასათიანი, გრიგოლ რამიშვილი, ბიძინა მიქელაძე, სტეფანე დარჯანია, ქრისტოფორე თუთბერიძე, მიხეილ მიმინოშვილი, კუპრაძე, აკაკი ეორეულიანი, ალექს. მოწერელია, თოდრია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნიკოლოზ ჯუბისაშვილი, შალვა ჯალაღანია და გალაქტიონ ცინცაძე.

კრებაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მიღებისა და პარტიაში გადარიცხვის შესახებ.

—

ორშაბათს, 6 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. მე-5 უჯრედის მორიგი კრება. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

ოთხშაბათს, 8 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგება ლენინის რაიონის მთლიან პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენცია. მთლიანი პოლიტსკოლების მსმენელების, ხელმძღვანელების და უჯრედების აგიტპროპების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს—კომუნისტური პარტიის წევრებს

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მექმარიაშვილის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 5 მაისს დილის 11 საათზე. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, რაიკომის ყოფილი მდივანი

ამხ. სერგო გუბელი (მექმარიაშვილი)

გამოსვენება ა. წ. 5 მაისს, დღის 10 საათ. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან 2646

საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს—პარტიის წევრებს

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მექმარიაშვილის, კორძაძის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში 5 მაისს, დილის 11 საათზე გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს—კომუნისტური პარტიის წევრებს

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მექმარიაშვილის)

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 5 მაისს, დილის 10 საათზე მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე იქვე. 1633

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება აუწყებს ამხანაგებს ძველ ბოლშევიკის

ამხ. სერგო გუბელის
(სერაპიონ მექმარიაშვილის)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 5 მაისს, დილის 11 საათზე. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან ძმათა სასაფლაოზე, ყოფ. ხუდადოვის ტყეში.

გლეხთა სახლის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ერთგულ თანამშრომლის

ელისაბედ გრიგოლის ას. ლელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 მაისს, 4 საათზე. 1636

გლეხთა სახლის ადმინისტრაცია აუწყებს საზოგადოებას ერთგულ და დაუღალავ მუშაკის

ელისაბედ გრიგოლის ას. ლელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 მაისს, 4 საათზე. 1637

ღრმად დამწუხრებულნი მამა დიმიტრი, დები: ნადია და ლიზა, ძმები: არსენ მეუღლითურთ, ილიკო, პლატონ და მაქსიმე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი

აკაკი დიმიტრის ძე ვაჩაძე

1646

მამიდები: თამარა, მარო და ივლიტა გიუნაშვილები აცხადებენ, რომ 6 მაისს დღის 3 საათზე გადახდილ იქნება სამოქ. პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე

ელისო გიუნაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 1647

გასპერ და არტემ სერგოსძე სულხანოვი ოჯახობით მარიამ სერგოს ასული სულხანოვი-სულიევისა, ანტონი იაგორის ძე სულიევი და გასპარ ნიკოლოზის ძე კამალოვი ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას სიძის ექიმ

ვასილ მიხეილის ძე ბაგინიანის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, გამოსვენება ხვალ, 1-ლ საათზე, ბინიდან მე-2 პარალ. ქ. № 9 1639

მწუხარებაში მყოფნი მამა სიმონი, დედა ერმონია, ძმები და დები: დავით, ნურა, კოწია, ქეთო აუწყებენ ნათესავებს, რომ მათთვის დაუვიწყარ

მარუსა სიმონის ასული ბერაიას

ხსოვნის აღსანიშნავად 7 მაისს 3 საათზე ხაშურის სასაფლაოზე გარდახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნ. 2632

გულდათუთქულნი ბიძაშვილები სოფიო კიკნაძისა, მარიამ ბარბაქაძისა მეუღლეებით, ანტონ ფანცულაია ცოლშვილით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს

ლუბა კირკიტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 7 მაისს 1638

სამუდამოდ გულმოკლულნი მშობლები თამარი და გიორგი შვილებით მარგო და ვანიკოთი, ბებია ელისაბედი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უდროოდ დაკარგულ

ანიკო კვირიკაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 6 მაისს საღამოს 5 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე 1655

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კალისტინე, შვილები: ლადო, საშა, ედუარდი; რძლები: ოლია, ლიუბა, შვილიშვილები: თამარა, ეთერი, გოგი, იმედა, ოთარი და ნაზიკო პაპაევები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 2 მაისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

თადეოზ პეტრეს ძე პაპავა

დაკრძალვა სამშაბათს 7 მაისს ქ. სამტრედიაში 1631

მწუხარებაში მყოფნი ქალიშვილები: ვერა, ელენა, აგრაფინა და ოლიჩკა, სიძეები: ირაკლი ბოხუა, სიმონ გეგიძე, სანდრო ხოჭოლავა, შვილიშვილები: გოგოშკა, თამარა, შოთა, მედეა, მუსკუნა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 2 მაისს გარდაიცვალა მათთვის ძვირთასი

თადეოზ პეტრეს ძე პაპავა

1631

დამწუხრებულნი მშობლები ელენა და ლავრენტი კვიკვიძეები, ბებია ელისაბედი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ორშაბათს 6 მაისს, 2 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ

ელისოს

ხსოვნის აღსანიშნავად 1640

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აცხადებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პროლეტარული პოეტი

ანტონ განჯისკარელი

დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 5 მაისს დღის 1 საათზე სოფელ ღრმაღელეში. პოეტის პატივისმცემლები შეიკრიბებიან ხელოვანთა სასახლეში დღეს დილის 11 საათ. საიდანაც გაემგზავრებიან სოფელ. ღრმაღელეში გასვენებაზე დასასწრებლად. 1653

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები გოგლიკო და სანდრიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ძვირფას და დაუვიწყარ ქმრის და მამის

ნიკოლოზ გრიგოლის ძე კეჩხუაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. გორში, 7 მაისს 5 საათზე ძმათა სასაფლაოზე 1644

ღრმად დამწუხრებული მამა გიგო, დედა ოლღა, დიდედა თამარი, დები ვერა და თამარი, ძმები ლევანი, ლადო და არჩილი კეჩხუაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად დაღუპულ საყვარელ

ნიკო კეჩხუაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. გორში, 7 მაისს ძმათა სასაფლაოზე 5 საათზე 1644

ღრმად დამწუხრებულნი და მარიამი და სიძე არჩილი ჩარგეიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ ძვირფას ძმის, ტრაღიკულად დაღუპულ

აგრ. ნიკოლოზ კეჩხუაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. გორში, 7 მაისს საღამოს 5 საათზე 1644

ა. წ. 7 მაისს საღამოს 5 საათზე ქ. გორში ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ გორის მაზრის ყოფ. აგრონომ

ნიკო კეჩხუაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს: ლ. გოგოლაძე, ი. ორჯონიკიძე, ს. შარაშენიძე, ი. ედილაშვილი, გ. კარიჭაშვილი, გ. ახალკაცი, ყ. სულხანიშვილი, ვ. ციმაკურიძე, ი. ცხოვრებაშვილი, ს. წერეთელი. ბერძენიშვილი, დეკანოზიშვილი, ინასარიძე, ხუხუნაშვილი, დემუროვი, ხოჯამიროვი, ვართუმოვი, იარალოვი. 1645

დამწუხრებული დედა ანეტა, დები: მარიამი და ეპრაქსია, ბიძა კირილე წივწივაძე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

მიშა (მიშიკო) სამსონის ძე წივწივაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება სამშაბათს 7 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე (ჯაფარიძის ქ.) დაკრძალვა საფირჩხის სასაფლაოზე ნ. 2642

დამწუხრებული მეუღლე ელენე ზაალიშვილისა აუწყებს საზოგადოებას, რომ 6 მაისს 1-ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ვასილ ზურაბის ძე ზაალიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად 1641

ამერკომის ჭრა-კერვის სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, იშვიათი ამხანაგის და საუკეთესო მოწაფის

მარო დუნდუას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ყორღანოვის ქ. № 28. 5 მაისს 3 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1648

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კატო, ქალიშვილი მარიკო, ძმები: ანტონი და პეტრე ცოლშვილით და მალაქია აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 6 მაისს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მინა მეთოდეს ძე ბრეგაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე დღის 1-ლ საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1652

დამწუხრებულნი: ეკატერინე, მიხეილი და ნინო თუხარლები შვილებით და მაშო გუგუტიშვილი ქმარშვილით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დისშვილი

დოდო ფალავანდიშვილი--ბურჭულაძე

1649

თინათინ, გრიგოლ და თამარ ბურჭულაძეები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი რძალი

დოდო (ანნა) ფალავანდიშვილი-ბურჭულაძე

1657

მირიან გრიგოლის ძე ბურჭულაძე და ნინო სიმონის ასული ფალავანდიშვილი აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მათ 4 მაისს დაჰკარგეს, პირველმა მეგობარი, თანაგზავრი-მეუღლე, მეორემ კი და

დოდო (ანნა) ფალავანდიშვილი-ბურჭულაძე

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, ორშაბათს 6 მაისს, გამოსვენება საღამოს 4 ნახ. საათზე ბინიდან, ლენინგრადის ქ. № 10, სამოქალაქო პანაშვიდი კვირას საღამოს 7 საათზე. 1657

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე თებრონე და ქალიშვილი პოლია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 4 მაისს დღის 3 საათზე ქ. თბილისში რესპ. მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და მეორეს მამა

პლატონ გიჭიას ძე ნადარეიშვილი

რომლის გამოსვენება საავადმყოფოდან და სადგურში წასვენება მოხდება ა. წ. 7 მაისს, საღამოს 4 საათზე დასაფლავება სოფელ ონტოფოში (სენაკის მაზრა). (ე)

რუსთაველის თეატრი
კვირას, 5 მაისს ღია წარმოდგენა საზოგადოებისათვის
„საქმის კაცი“ ?! ვ. ჰაზენკლევერის
კომ. 8 სურათად თარგ. ტიც. ტაბიძისა
დადგმა: შ. აღსაბაძის, მხატვარი: ირ. გამრეკელი
მთავ. რეჟისორი და სამხატვ. ნაწილის დირექტორი ალ. ახმეტელი
დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე
დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის და მუშ. ზოლის სალაროებში
2—2 ნ. 2634

სახ. აკ. ოპერის თეატრი
კვირას 5 მაისს
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
ურიელ აკოსტა
პიესა კ. გუცკოვის, თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის
დადგმა გ. სულიაშვილის მხატვარი პ. ოცხელი.
ბილეთების ნაწილი დატოვებულია თეატრის სალაროში პროფკავშირების წევრთათვის 50 პროც. შეღავათით
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. ნ. 2643

სახ. აკ. ოპერის თეატრი
კვირას 5 მაისს
თბილისის სატირის თეატრის წარმოდგენა
დილით **„ნალექი“** ვ. სიხარულიძის
მუსიკალური სატირა 4 მოქ.
დადგმა ნ. კახიძის. თეატრის ხელმძღვანელი გ. ბუხნიკაშვილი
დასაწყისი სრულ 12 ნახ. საათ. ბილეთების ფასი 25 კაპ—დან —1 მ. 50 კაპ-მდე

იჩქარეთ ნახვა



იჩქარეთ ნახვა
სამხეცე რჩება უკანასკნელ 5 დღეს
რათა ყველას მიეცეს საშუალება ნახოს
სუმატრის ვეფხვები და სხვა **მხეცები**
უკანასკნელი 5 დღე დაკლებული ფასებით
სრულ ასაკოვანი 75 კაპ. ნაცვლად იხდიან მხოლოდ 50 კაპ.
ბავშვები და მოწაფეები 50 კ. ნაცვლად იხდიან მხოლოდ 28 კაპ.
ისარგებლეთ შემთხვევით, რომ დაკლებულ ფასებში ნახოთ ვეფხვები
სამხეცე მიდის

საქ. ს. მ. უ. ს ტყავტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექცია
ამით აცხადებს ყველა სასწავლებლების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ ექსკურსიები ფაბრიკაში დაშვებული იქნებიან მხოლოდ ორშაბათობით 11 საათიდან 13 საათამდე, საჭიროა წინდაწინვე შეთანხმება ტელეფონით № 18—93. 1643

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

სახელმწიფო კინოები

განთიადი არფასტო	სამეცნიერო მხატვრული სურათი **მალარია** 6 მაისიდან პატი ზღვაში
სოლეი	**ცრუ ატორნეი** 6 მაისიდან ტყის კაცი
აპოლო	**ჩიკაგო** 6 მაისიდან დადგმის მეორე კვირა
მინიონი	**აზიის გული (ავღანისტანი)** 6 მაისიდან მორალი
პალასი	**ქარიშხალი** 6 მაისიდან შვილისშვილი
დარბაზი	**გრაფი მონტე- კრისტო** 5 და 6 სერია 6 მაისიდან ცრუ ატორნეი
პროლეტარი	**გრაფი მონტე-კრისტო** 1 და 2 სერია

დღეს დღისით კინო სოლეიში გოგი რატიანი

სახკინმრეწვი · ГОСКИНПРОМ
საბა

დღეს 5 მაისს
დოლი
დასაწყისი 1 საათ.
ნ. 2644

ხონის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ბ. ერისთავი
ამით აცხადებს, რომ მის მიერ 14 მაისს 1929 წ. დღის 1 საათზე ქ. ხონში მე-3 უბანში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება მოქალაქე სერაფიონ ანტონის ძე მამარდაშვილის ქონება სახელდობრ: ერთი ოდა აგურის საცხოვრებელი სახლი, ოთხი განყოფილებით, კრამიტით დახურული, წინ აივნით, ზევით და ქვევით ჭერით და იატაკით, ექვსი წყვილი კარებით, ცხრა წყვილი ფანჯრებით, აღნიშნული ქონება შეფასებულია შვიდას მან. და იყიდება მოქალ. ნიკოლოზ იოსების ძე სოსელიას ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ბრძანებითი ფურცლისა სოხუმის 1 უბნის სახ. სასამ. 23 ივლისის 1927 წ. № 1512. ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდექ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან ქონების დათვალიერება შეიძლებ ვაჭრობის დროს.
ნ. 2645

მათემატიკის მასწავლებელი ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 10 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
1183 3—1

თმის მკურნალობა ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ჭრა-კერვის გაკვეთილები
ქართულ და რუსულ ენებზე
ბოლგარსკაია
კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ
24—11 94

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10

დავკარგე: კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 633 გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ კატო ბესარიონის ასული ავალიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2642

დავკარგე: შვიდწლედის მოწმობა № 869 გაცემული თბილისის მე-33 შრომის სკოლის მიერ მარიამ დიმიტრის ასული მერკვალიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2642

დავკარგე: საკრედიტო ამხანაგობიდან მიღებული საწევრო წიგნაკი № 264 ზაქარია ქიტაძის სახელზე, ჩ. გ. 1656

დავკარგე, პირადობის წიგნაკი № 10 სევასტი სურმავას სახელზე ჩ. გ. 1656

დავკარგე: წითელი არმიელის წიგნაკი მოცემული სამტრედიის სამხედრო მაგიდის მიერ გიორგი ბესარიონისძე კალოიაზის სახელზე, ჩ. გ. 1650

დავკარგე: უმუშევრობის წიგნაკი № 12522 და კომ. მეურ. მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 5456 მარიამ იოსების ას. ფანიაშვილის სახელზე ჩ. გ. 1646

დავკარგე: პასპორტი № 423 იოსებ ქობელაშვილის სახელზე, ჩ. ჩ. 1642

ტირაჟი—41.318
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.